

იპედი +

ცოვალთვიური ჟურნალი ზეგდუღული ზესაქლებლობის მძინე პირებისათვის
№6 (54) 0350სი 2015წ.

აძმ-ში მოღვანე ქაბთველი ზიანისცი
თაძან ძავლაძვილი





მანია ასაკაშვილი

მშობელი - მშობელსა და საზოგადოებას

ISSN1987-7161 977198771600
მთავარი რედაქტორი
თეიმურაზ მიქიაშვილი 593 33 5887 info.imediplus@gmail.com
რედაქტორის მოადგილე
მაია ასაკაშვილი asakashvili_maia@yahoo.com
დირექტორი
სოფო ტარყაშვილი 592 534466
გამომცემელი
კავშირი „იმედი პლიუსი“
საკონტაქტო ინფორმაცია
ზ.ფალიაშვილის № 47 ^ა მე-2 სადარბ. ბ 12 +995 2 25 28 81 +995 2 25 28 83 pr_imesdiplus@yahoo.com info.imediplus@gmail.com ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე 2
განვითარებადი დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 2
„მზის შვილების“ ხელმძღვანელი განცხადებას ავრცელებს..... 3
პარაოკეესტრის კონცერტი და საქართველოში პირველი მუსთერაპიის ოთახის გახსნა..... 4
ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში შშმ მოსწავლეებს შორის საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა..... 5
საინფორმაციო შეხვედრა არგვეთის საჯარო სკოლაში 5
თბილისის მერია შშმ პირებს დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ამალგების მიზნით გადაამზადებს 5
„ნაბიჯი -ტყიბული“ რეალობა, პერსპექტივები..... 6
მშობელი - მშობელსა და საზოგადოებას 8
ბგერებით დანახული სამყარო..... 14
ჩემი სოფლის ისტორია 17
შშმ პირებმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუგეს..... 20
„მძიმე იყო ამ მომენტის გადალახვა“ - ვინ არის გიგო „X ფაქტორიდან“ და რას ყვება დედა მის შესახებ 23
შეზღუდული შესაძლებლობები, თუ შეზღუდული გარემო?..... 25
პოეზია 29
ბავშვი ცერებრული დამბლით — დახმარება, მოვლა, განვითარება..... 30
ხერხემლის ტონური კუნთების განმავითარებელი ვარჯიშები..... 31
გიო, მე შენი მეგობარი ვარ..... 32



**ჟურნალი გამოდის „მაკლენის
ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

გარეკანის ფოტოები ეკუთვნის თეიმურაზ მიქიაშვილს.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან

ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობების საინთერნეტო



ქ. ფოთში 29-30 მაისს APM-TERMINALS-ის ორგანიზებით მოწვეულ იქნა „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“, რომელმაც გამართა კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე. კონფერენციას ესწრებოდა ორგანიზაციის ფსიქოლოგები, მოხალისეები და შშმ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელების მშობლები. ასევე ქ. ფოთის სხვადასხვა სკოლის ინკლუზიური განათლების სპეც-პედაგოგები. აღნიშნული კონფერენცია მიზნად ისახავდა მშობლებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებას სპეციალური საჭიროებების მიმართულებით, რათა მათი სწავლება და ბავშვის ინდივიდუალური განვითარება უფრო ეფექტურად წარმართონ.

კონფერენციას უძღვებოდა ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, ფსიქოლოგები და ოკუპაციური თერაპევტები. სესიების განმავლობაში განხილულ იქნა დამსწრე საზოგადოებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობები, ინკლუზიური განათლება, ქცევის მართვა, სენსორული ინტეგრაცია, თამაშის მნიშვნელობა, ეტლის მორგების პრინციპები, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები. ერთ-ერთ სესიას უძღვებოდა სპეციალურად მაკ-ის მიერ მოწვეული მშობელი და ასევე პროგრამის ფარგლებში განათლების სამინისტროს სამეგრელოს-ზემო სვანეთის რაიონის მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლები.

განვითარებადი დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს



Development Aid for People with Disabilities

ფონდი „აბილის“-ი - განვითარების ფონდია, რომელიც დაარსდა 1998 წელს

ფინეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიერ. „აბილის“-ი, როგორც მისმა მესვეურებმა ქალბატონებმა ბარიო ჰეინონემ და ლორა ჩუნმა განაცხადეს 10 ივნისს ასოციაცია „ანიკას“, ოფისში ჩატარებულ კონფერენციაზე, დიდი ჰუმანიტარული მისიის მატარებელია საქართველოში და ცდილობს მცირე გრანტების დაფინანსებით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას და მათი, რაც შეიძლება მეტად წარმოჩენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფონდის ძირითადი დამფინანსებელია ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ფონდი ძირითად ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, პროექტებს, რომელიც ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ და იმ პროექტებს, რომლებიც განახორციელებს შშმ პირების თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე.

ქალბატონმა ბარიო ჰეინონემ განაცხადა, რომ გრანტის მოპოვებაზე განაცხადის წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, რომლის მმართველობაში ძირითად რაოდენობას შშმ პირები შეადგენენ:

- დაფინანსდება ის პროექტები, რომლის განხორციელების შედეგად სარგებელს მიიღებენ შშმ პირები;





- მხარდაჭერა გაენევით მხედველობის, სმენის, მოტორიკის შეზღუდვების და ინვალიდობის სხვა სახეების მქონე პირების ორგანიზაციებს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებულია ინვალიდობის მქონე ადამიანების მშობლების მიერ.

კონფერენციაზე, ქალბატონმა ბარიო ჰეინონემ მრავალ შეკითხვას გასცა ამომწურავი პასუხი, რომლის დროსაც იყენებდა სხვადასხვა დამხმარე საშუალებას.

შეხვედრის ბოლოს, დამსწრე ორგანიზაციების წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ასეთი თავისუფალი და გასაგები კომუნიკაციის გამო და იმედი გამოთქვეს ფონდ „აბილის“-თან ნაყოფიერი მუშაობის შესახებ.

„აბილის“ ორგანიზაციის წარმომადგენელი ბარბარა ჰეინონენი



არასამთავრობო ორგანიზაცია „აბილისის“ შეიქმნა ინგა ლოლაძე განცხადებას ავრცელებს. 1 ივნისს საქართველოში ყველა სატელევიზიო არხმა და ბეჭდურმა მედიამ ფართოდ გააშუქა ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები – „პრემიერმა ბავშვებს მიულოცა...“ „განათლების მინისტრი ბავშვებთან ერთად...“ „პრეზიდენტი მზიურს ესტუმრა...“ „ვიცე-სპიკერი და ბავშვები...“

პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი, თბილისის მერი, ჯანდაცვის მინისტრი, ამის მინისტრი, იმის მინისტრი, მოკლედ, ყველა მინისტრი და

ბავშვები... არასამთავრობო ორგანიზაციებმა „აბილისის“ და კავშირი „ჩვენი ბავშვები“, ბავშვთა უფლებების დაცვა თავად ბავშვებს მივანდეთ. პროექტი სიმბოლურად 1 ივნისს დაიწყო, 3 დღეს მოიცავდა. პირველ შეხვედრაზე ბავშვებს მათთვის ადვილად გასაგები ფორმით ბავშვთა უფლებების კონვენციაზე ვესაუბრეთ, ნაუკუთხეთ ნაწყვეტები პოლონელი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იანუშ კირჩაკის ნაწარმოებიდან „მეფე მათეუს პირველი“. მერე, ყველა ერთად ვისხედით და ნაკითხულს ვაანალიზებდით. ღონისძიებაზე სტუმრად არც პრეზიდენტი გვყოლია, არც პრემიერი, არც სხვა მინისტრები, ვიყავით მხოლოდ ჩვენ – დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები, მათი და-ძმა და მშობლები. მიუხედავად იმისა, რომ პრესრელიზები თითქმის ყველა ტელევიზიას გადაუგზავნეთ, ღონისძიების გასაშუქებლად ჩვენთან არავინ მოსულა. მეორედ 3 ივნისს შევიკრიბეთ და ჩვენთან ერთად იყო ყველასათვის საყვარელი ბაბილინა (ულრმესი მადლობა მას!). ბავშვებმა წინა შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებლად, ყოველგვარი მითითებისა და კარნახის გარეშე დაამზადეს ტრანსფარანტები და პლაკატები. ნებისმიერი ის ტრანსფარანტი და პლაკატი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, რაც კი ოდესმე მინახავს – ყველა ბავშვს აქვს სწავლის უფლება; ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით; ჩვენ გვაქვს უფლებები ხატვის, სწავლის, სიყვარულის, მზრუნველობის; გაუფრთხილდით ბავშვებს; მინდა, რომ უფროსებს უყვარდეთ ბავშვები, სახელმწიფო ზრუნავდეს ყველა მათგანზე ყოველ დღე; მე მინდა სკვერი სახლთან ახლოს; ყველა ბავშვს აქვს დასვენების, გართობის უფლება; ბავშვის დამცირება არ შეიძლება, არ შეიძლება მასზე ძალადობა! მინდა სახელმწიფო იმ ბავშვებს დაეხმაროს, ვინც ბავშვთა სახლში არის! მე მინდა ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი! მე მსურს ჩემი აზრის გამოთქმა! კარგად უნდა მოექცეთ ბავშვებს! – ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც ბავშვებმა დაწერეს იმ დღეს. 3 ივნისის შეხვედრის პრესრელიზები ისევ ყველა ტელევიზიას გადაეგზავნა და ალბათ ბაბილინას დამსახურებაა, რომ მოვიდა... სამწუხაროდ, მხოლოდ „რუსთავი 2“.

3 ივნისს ექვსათიანი კურიერში 1-წუთიანი სიუჟეტი გავიდა – ახალი სტანდარტების მიხედვით ბავშვების გადადგენილი სახეებით. 7 ივნისს მესამე და ბოლო შეხვედრა შედგა. ილიაუნიდან უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე ჟივილ-ხივილით ჩაიარეს „უფლებებით“, ფრთაშესხმულმა ბავშვებმა. ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმ სიტუაციისა და სიყვარულისა, რომელსაც მალაზიების კარებთან მდგარი, წინ შემხვედრი, ქუჩაში მომავალი მანქანებიდან თუ მსვლელობას შემოერთებული ადამიანების მზერაში ვხედავდი. უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან მერიის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი საკმარისი არ აღმოჩნდა და მსვლელობის რამდენიმე მონაწილე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, გულწრფელად მოღიმარი სახით, ვარაზისხევში გაჩერებულმა უცნობმა (ტაქსი) აიყვანა ლისის ტბაზე და ულრმესი მადლობა მას. ბავშვების, რომლებიც იცავდნენ თავის უფლებებს, მსვლელობამ ჭავჭავაძის გამზირზე და ულამაზესმა კონცერტმა ლისის ტბაზე, ისევ კამერებისა და ჟურნალისტების გარეშე ჩაიარა.

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ღონისძიება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ტელევიზიებისა და პრესისთვის თავის მოსაწონებლად გაკეთდა. არა! ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ამ ღონისძიების ფართოდ გაშუქება მინდოდა (დარწმუნებული ვარ, იგივეს ფიქრობენ ღონისძიების სხვა ორგანიზატორებიც), მხოლოდ ის იყო, რომ გვინდოდა ბევრ, რაც შეიძლება ბევრ ბავშვს ენახა, რომ მათი თანატოლები, ბავშვები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სიბრაღულსა და თანაგრძნობას იწვევენ საზოგადოების გარკვეულ ფენებში, ცხოვრობენ სრულფასოვანი ცხოვრებით, ფიქრობენ და ამ ნაფიქრალის გადმოცემის შეუძარებელი, შესაშური ნიჭი აქვთ. შეუძლიათ თავად დაამსხვრიონ სტიგმა, რომელსაც ჩვენ, მათი მშობლები უკვე რამდენიმე წელია ვებრძვიტ და რაც მთავარია, მათ აქვთ ძალა, თავად დაიცვან საკუთარი უფლებები.

1 ივნისი ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე იყო და ბავშვებმა, რომლებმაც მასმედიის კეთილგანწყობა ვერ თუ არ დაიმსახურეს, შთაბეჭდილებებით სავსე სამი ულამაზესი დღე აჩუქეს საკუთარ თავს. ვერავისთან გადაღებული სურათი, ვერანაირი საჩუქარი, ვერანაირი გასართობი ცენტრი ვერ გაუწევს კონკურენციას ამ სამ დღეს. ახლა ვზივარ და ფოტოებს ვათვალიერებ. ყველა მათგანიდან საოცარი ძალა და ენერჯია მოდის, ყველა ფოტო სიყვარულით, სიხარულით, უკეთესი მომავლის რწმენითაა სავსე. ვათვალიერებ ფოტოებს და მტკივა... მხოლოდ სოციალურ ქსელში რატომ ვრცელდება საკუთარი უფლებების დამცველი ბავშვების ფოტოები (ღონისძიების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიერ გადაღებული), ნუთუ დღეს ყველა ტელევიზიის კამერები ამ ბავშვებისკენ არ უნდა ყოფილიყო მომართული? ხუმრობა საქმეა? – „ბავშვები იცავენ თავიანთ უფლებებს!“

წყარო-<http://tvfree.ge/?p=24868>

პარენტალის კონცეფტი და სექსუალური პირობები მუსიკის მთავარი პასხნა



კავშირ „მშობელთა ხიდში“, 50-მდე შშმ პირი დადის ყოველ დღე. მათთვის დღის ცენტრის პროგრამის ფარგლებში ტარდება სისტემატიურად მუსთერაპია, არტთერაპია, შრომათერაპია.

27 მაისს ორგანიზაციის დღის ცენტრში, მისამართი: გოცირიძის №2, მოხდა მუსთერაპიის კაბინეტის გახსნა. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის პარაორკესტრმა (ორკესტრი შშმ ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობით) გამართა არაჩვეულებრივი კონცერტი. კონცერტზე შესრულდა, როგორც კლასიკური ნაწარმოები, ასევე ჯაზური კომპოზიციები. პროექტ „პარაორკესტრს“, აფინანსებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ამ კატეგორიის მუსიკალური ჯგუფი პირველია ამიერკავკასიაში.

ამერიკულმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ ედმონდ და პამელა დოშის ხელმძღვანელობით დღის ცენტრის

ბენეფიციარებისათვის უზრუნველყო მუსთერაპიის ოთახის სრულყოფილი აღჭურვა. ამიერიდან პარაორკესტრის რეპეტიციები და მუსთერაპიის აქტივობები ტექნიკურად გამართულ, ადაპტირებულ გარემოში ჩატარდება.

მუსიკა შშმ პირებს შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, მათი შესაძლებლობების რეალიზებასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციაში ეხმარებათ.

ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაციის მხრიდან პამელა და ედმონდ დოში, შშმ ბავშვები და მოზარდები და მასმედიის წარმომადგენლები.



ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში უშპ მოსწავლეებს შორის საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა



2 ივნისს, საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში მე-200 საჯარო სკოლის უშპ მოსწავლეების მონაწილეობით საფეხბურთო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება ოლიმპიური ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და მასში მონაწილე ყველა გუნდი უშპ ბავშვებითა და ოლიმპიური ცენტრის აღზრდილი სპორტსმენებით დაკომპლექტდა. სპორტული ღონისძიების მიზანს უშპ პირების ფიზიკურ აქტივობებში ჩართვა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა წარმოადგენს. ტურნირის მონაწილე ბავშვები მედლებით, გამარჯვებული გუნდი კი ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასით ცენტრის დირექტორმა გიორგი ასათიანმა დააჯილდოვა. ოლიმპიური ცენტრი მე-200 საჯარო სკოლასთან აქამდეც თანამშრომლობდა - დეკემბერში ოლიმპიური ცენტრის დირექტორმა გიორგი ასათიანმა, თანამშრომლებთან და სპორტსმენებთან ერთად, სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი - ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები გადასცა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში სწავლის საშუალო სკოლაში



2 ივნისს, „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენლებმა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგეთის საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურის კლასების მოსწავლეებისთვის ჩატარეს საინფორმაციო შეხვედრა/სემინარი, რომლის მიზანაც შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე უფროსკლასელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაა. აღნიშნული შეხვედრების დროს ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ინფორმირების გაზრდის ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სწორი, კორექტული

ტერმინების გამოყენების პროპაგანდა; აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრა-სემინარების ჩატარება დაგეგმილია საჩხერის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კლასების მოსწავლეებთან. ფინანსური მხარდაჭერია

თბილისის მერია უშპ პირებს დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით გალაშქრებს

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, 1 ივნისიდან თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად ტრენინგურს ინწყებს. პროექტი თბილისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადამზადებას გულისხმობს. პროექტი ერთთვიანია და ეტაპობრივად ოთხი ჯგუფი გადამზადდება. თითოეულ ჯგუფში 15 პირი იქნება. ტრენინგურსი შემდეგ მოდულებს მოიცავს: დასაქმების შესაძლებლობები, სექტორების მიმოხილვა; ღირებულებების განსაზღვრა და მიზნების ჩამოყალიბება სამსახურის ძებნის პროცესში; შესაფერისი ვაკანსიის მოძიება და ეფექტური CV-ს შედგენა; ეფექტური სამოტივაციო წერილის მომზადება; თანამშრომელთა შერჩევის პროცესი - ტესტირება, გასაუბრება.

ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი თბილისის მერიაში უნდა შემოიტანონ. განაცხადების მიღება შესაძლებელია ტრენინგის დაწყების შემდეგაც.

შეიქმნა „სოციალური პასუხისმგებლობის კლუბი“

27 მაისს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა «სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის» პრეზენტაცია, რომლის შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია «სიდა» და პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია «ჯეპრა».

სოციალური პასუხისმგებლობის კლუბი წარმოადგენს არარეგისტრირებულ კავშირს, რომლის მიზანია საზოგადოებაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ცოდნის ამაღლება და ერთობლივი გრძელვადიანი საქმიანობით კლუბის წევრებთან/პარტნიორებთან/დონორებთან ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა კლუბის შექმნის კონცეფცია, ფორმატი და სამოქმედო გეგმა.

სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის პრეზენტაციას დაესწრენ საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესსექტორის, საჯარო სექტორის, სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები. შეხვედრის ბოლოს გაიმართა კლუბის ქარტიაზე ხელმოწერის ცერემონია.

რეზიუმე

„ნაბიჯი - ტყიბული“ რეალობა, პარსპექტივები

ქეთევან ჭილაკაძე



არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებენ, განსაკუთრებით, რთული ვითარებაა რეგიონებში, შშმ პირთა თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შესაქმნელად გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბული“ 2014 წელს დაფუძნდა, რომლის შექმნის იდეა ქალბატონ მაგდა ყურაშვილს ეკუთვნის. მისი ინიციატივით სხვადასხვა რეგიონში არაერთი ორგანიზაცია შეიქმნა.

ტყიბულში დაფუძნებულ ორგანიზაციას გიგა სოფრომაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ინვალიდობის მქონე პირთა მოძრაობაში საკუთარმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ მოიყვანა, თავისი აქტიური განვლილი ცხოვრებით დღეს სხვებისთვის მაგალითის მიმცემია.

გიგა ტყიბულში დაიბადა, 4 წლის იყო ჯანმრთელობის პრობლემები რომ შეექმნა, რის გამოც მისი ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.

მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და 18 წლის ასაკში 1-ლი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მიენიჭა. იგი ჩვეულ-

ებრივად იზრდებოდა, სკოლაში დადიოდა, ისე როგორც სხვა მისი თანატოლები.

სკოლა თბილისში დაამთავრა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვეღარ განაგრძო, რასაც გულ-დანყვეტილი იხსენებს; „საქართველოში ადაპტირების პრობლემები დღემდე მოუგვარებელია, რის გამოც ვერ მოვახერხე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. ამის მიუხედავად, მაინც აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა საქმიანობაში. რამდენიმე წელია, რაც ტყიბულში დავბრუნდი, სადაც ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბული“ დავაფუძნე, ვმუშაობ ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე

გიგა, რა არის თქვენი ორგანიზაციის მიზანი და ამოცანა?

ორგანიზაცია „ნაბიჯი - ტყიბულის“ მიზანია, გააუმჯობესოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველდღიური და ყოველმხრივი მდგომარეობა, გამოასწოროს და შეცვალოს ის არასწორი და უსამართლო მდგომარეობა, რაც წლების განმავლობაში სერიოზულ ბარიერებად წარმოიქმნება შშმ პირების წინაშე და ხელს უშლის მათ თანასწორუფლებიან, სრულფასოვან ცხოვრობას. ასევე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ვმუშაობთ დღის ცენტრის გახსნაზე, რომელიც ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს მოემსახურება.

რა სახის შეზღუდვის შშმ პირები არიან განწევრიანებული თქვენს ორგანიზაციაში?

რელიეფის და არა ხელსაყრელი გარემოს გამო ტყიბულში შშმ პირების გადაადგილება ძალიან რთულია, რის გამოც ორგანიზაციას ჯერ არ ჰყავს შშმ წევრები, თუმცა ორგანიზაციის საქმიანობაში მათ აქტიურ ჩართვაზე მუშაობა მიმდინარეობს

რაში გამოიხატება მათი აქტიური ჩართულობა?

ყველა იმ პროექტში, რომელიც უნდა განახორციელოს ჩვენმა ორგანიზაციამ დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში აუცილებელია, ჩართულნი იყვნენ შშმ პირები. რადგან რაც უნდა ისაუბრონ, ასე ვთქვათ, არა შშმ ადამიანებმა, რომ მათ იციან შშმ პირების პრობლემები და საჭიროებები, თვითონ შშმ პირებზე უკეთ ეს პრობლემები და მათი მოგვარების გზები არავინ იცის.

თუ გაქვთ ზუსტი სტატისტიკა, ტყიბულში რამდენი შშმ პირია?

ტყიბულის სოციალური სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიის 1 700 ზე მეტი შშმ პირია რეგისტრირებული მუნიციპალიტეტის მასშტაბით. თუმცა სხვადასხვა ორგანიზაციების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთ აღწერებში ცდომილებების ალბათობა დიდია, რის გამოც ჩვენ თვითონ ვგეგმავთ აღწერის ჩატარებას.

თქვენ საუბრში ახსენეთ, რომ ტყიბულში დღის ცენტრის გახსნის სურვილი გაქვთ. როდისთვის იგეგმება დღის ცენტრის გახსნა?

ზუსტი ვადის თქმა ჯერ არ შემოიძლია. დღის ცენტრის გახსნა არც თუ ისე მცირე თანხებთანაც არის დაკავშირებული. დიდი თანხის, დამატებითი გარანტიების გარეშე, დამწყები ორგანიზაციისთვის გადმორიცხვაზე, დონორები თავს იკავებენ. ზუსტად ამ კუთხით ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად მიმდინარეობს ერთობლივ პროექტზე მუშაობა, რომელიც დასაფინანსებლად წარედგინება პოტენციურ დამფინანსებლებს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტყიბულის გამგეობამ შეღავათიანი პირობებით უკვე გადმოგვცა თავის ბალანსზე არსებული ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, სადაც ვგეგმავთ დღის ცენტრის, ორგანიზაციის ოფისისა და სოციალური სანარმოების გახსნას.

ბატონო გიგა, ვის მოემსახურება დღის ცენტრი, ასაკი თუ იქნება განსაზღვრული?

კატეგორიებს მას შემდეგ განვსაზღვრავთ, როცა ზუსტად გვეცოდინება, ვის რა სახის შეზღუდვა აქვს. ასაკი სტანდარტით განსაზღვრულია, ჩვენ გვინდა, მოვემსახუროთ, როგორც არასრულწლოვნებს, ისე სრულწლოვან შშმ პირებს, რათა 18 წელს მიღწეული შშმ პირები არ დარჩნენ დღის ცენტრის სერვისის მიღმა.

ბატონო გიგა, თქვენ ძალიან აქტიური პიროვნება ხართ, ჩართული ხართ სხვადასხვა ღონისძიებებში, რა პრობლემებს აწყდებით საზოგადოების მხრიდან?

პრობლემები უმეტესად ერთი და იგივეა ყველგან. არაადაპტირებული გარემო, რაც ყველა შშმ პირის ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლებაა. გარემო პრობლემებს ქმნის შეხვედრებისას, რთულია საზო-

გადობრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. ასევე პრობლემაა საზოგადოების დაბალი ცნობიერება, როცა ჰგონიათ, რომ შეხვედრაზე ან ქუჩაში მიმავალი ხელჯოხით ან ეტლით მოსარგებლე პირი აუცილებლად ნაკლებ მოაზროვნეა და მას არ უყურებენ ისე, როგორც იმავე საქმეზე მისულ არა შშმ პირს.

ასევე მინდა გკითხოთ, რა პრობლემებს აწყდებით სახელმწიფოსგან?

ორგანიზაციები რომლებიც შშმ პირებთან საკითხებზე ვმუშაობთ, განსაკუთრებით, რეგიონებში ერთნაირ პრობლემებს ვაწყდებით. სახელმწიფო სრუტყურებში დასაქმებულ ადამიანებს აქამდე აქტიურად არ ჰქონიათ შეხება შშმ პირების საკითხებზე, რის გამოც დახმარების დიდი სურვილის მიუხედავად, უჭირთ სწრაფად რეაგირება, შესაბამისი ფორმის გამოხატვა, რა ფორმითაც შეძლებენ ჩვენს დახმარებას. ასევე პრობლემას ქმნის გაეროს შშმ პირების კონვენციაზე მათში ინფორმაციის ნაკლებობა, აღნიშნული მიზეზები აფერხებს ჩვენს მუშაობას.

ბატონო გიგა, ხომ არ გეგმავთ ახლო მომავალში რაიმე პროექტის განხორციელებას?

ახლო მომავალში „საქ. ნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფი“ –ს ინიციატივითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, ვგეგმავთ ქალაქ ტყიბულში რამდენიმე საჯარო შენობის პანდუსით აღჭურვას. აქამდე ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ (pin) – ის დაფინანსებით დაგებულ და გავავრცელებთ ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბული“ –ს შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები, სამომავლოდ იგეგმება ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „PIN“-თან თანამშრომლობის გაგრძელება.

თავისუფალ დროს როგორ ერთობით?

ტყიბულში შშმ პირის გართობა საკმაოდ რთულია, ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი გარემო იმისთვის, რომ შშმ პირებმა თავისუფლად შეძლონ გარეთ გამოსვლა, ამიტომ ძირითადი გასართობი კომპიუტერი და წიგნების კითხვაა. თბილისში მდგომარეობა შედარებით უკეთესია, შესაძლებელია გარეთ დამოუკიდებლად გასვლა, მეგობრების შეკრება, ქალაქში სეირნობა, კაფეში შესვლა და ა.შ. რეგიონები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.

და ბოლოს, რა არის თქვენი სურვილი?

იმედი მაქვს, საქართველოში მალე დადგება დრო, რომ შშმ პირები შეძლებენ ისეთივე სრულფასოვნად ცხოვრებას, როგორც დანარჩენი მოქალაქეები.

დიდი მადლობა, ჩვენი ყურნალის სახელით დიდ წარმატებებს გისურვებთ.



პირველი სამადისინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უცხინეთ ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
ძაია ასაქაძის სააქტოო ვადაცემს
„აღამიანები ეანსხვაჯუკლი ძუსაძლუჭლოჭბით“

მშობელი - მშობელსა და საზოგადოებას

შშმ პირთა პრობლემა ზოგადსაკაცობრიოა, მაგრამ საქართველოში იგი მაინც კონკრეტული ადამიანებისა და კონკრეტული ოჯახების პრობლემად რჩება, რომელიც ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების ყურადღების მიღმა არსებობს.

პიროვნება, ოჯახი და საზოგადოება, ცალ-ცალკე და ერთად, ერთი საერთო მცნების მატარებელია, ვინაიდან, არ არსებობს ოჯახი პიროვნებების გარეშე და საზოგადოება ოჯახების გარეშე. ამიტომ, გვინდა, თუ არ გვინდა, საზოგადოება, თუ ეს საზოგადოება ჯანსაღია, უნდა რეაგირებდეს ნებისმიერ გამოძახილზე, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილიდან, ე.ი. ოჯახიდან მოდის. მით უმეტეს, მძაფრად უნდა რეაგირებდეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამ საზოგადოების წევრთა მომავალს და, საერთოდ, ბედს.

დღეს ჩვენი სტუმარია ჟურნალისტი, სპეციალური განათლების მასწავლებელი, სპეციალური პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მადიებელი, პირველი ქართული ჟესტური ენის ლექსიკონის – „მოლაპარაკე ხელები“ რედაქტორი, არაერთი საგაზეთო პუბლიკაციის, რუბრიკისა და სამეცნიერო შრომის ავტორი, პირველი სამედიცინო რადიოს - MED FM 100.3 საავტორო გადაცემის „ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით“ წამყვანი, ჟურნალ „იმედი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, სხვადასხვა სოციალური პროექტის ხელმძღვანელი, არაერთი საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი, ექსპერტი, მშობელთა არასამთავრობო ორგანიზაცია – „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის“ თავმჯდომარე – მაია ასაკაშვილი, რომელიც მრავალი წელია შშმ პირთა პრობლემებზე, ამ ადამიანთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე მუშაობს.

ქალბატონი მაია გვიამბობს თავისი განვიდებული ცხოვრების შესახებ, თუ როგორ შეცვალა მისი ცხოვრება და თვით პროფესიაც კი საკუთარმა შვილმა, გვიამბობს შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შესახებ, გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას, როგორ გადალახა ბარიერი, რა შეუძლია მშობელს და დღეს როგორ ცდილობს, თავისი გაკვალული გზით, მაგალითი მისცეს ანალოგიური პრობლემების მქონე მშობლებსა და თვით საზოგადოებას.



როგორ გადავლახე ბარიერი

საზოგადოების დამოკიდებულების თემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი ყოველთვის აქტუალურია_ გვიამბობს საუბარში ქალბატონი მაია, რადგან, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად ინვალოდობის მქონე პირების მისაღებად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საზოგადოება ცალკე დგას, შორიდან უყურებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და არ სურს, საკუთარი ერისა და ქვეყნის შვილები, რომლებიც ღვთის განგებით, ამჟამად, ინვალიდობის მქონე პირები არიან, საკუთარ წიაღში მიიღოს,

ინკლუზიური განათლების პროცესები დაწყებულია და შეუქცევად ხასიათს ატარებს. ჩვენ, მშობლები, ამას მივსალმებით. გარკვეული წლების წინ, ვერც კი ვიოცნებებდით, რომ ჩვენს შვილებს თავიანთ ჯანმრთელ თანატოლებთან ერთად განათლების მიღების საშუალება ექნებოდათ. ახლა კი ეს საკითხი განათლების შესახებ კანონით დარეგულირდა. კანონით მშობლებს მიეცათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მათ შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ, თავიანთ შვილებს სპეციალური განათლება მისცენ, თუ ინკლუზიური განათლება. მისასალმებელია განათლების სისტემაში რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები, ინკლუზი-

ური სწავლება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტიგმა, ძველი მენტალური აზროვნების სტერეოტიპი შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების მიმართ.

ჩემს მაგალითზე გეტყვით, როგორ გადავლახე ბარიერი . . . შვილის დაბადება უდიდესი ბედნიერებაა, უკვე მისთვის არსებობ, ცდილობ, შეუქმნა საუკეთესო გარემო, მისთვის ყველაფერი გემეტება, დაეძებ კიდევ ყოველივე მშვენიერსა და ლამაზს, მაგრამ ერთ დღესაც, როცა იგრძნობ პირმშოს თანდაყოლილ ნაკლს, ქვეყანა თავზე გექცევა, განიცდი უდიდეს ტკივილს, უნებურად გიჩნდება კითხვა_რატომ? რომელიც მთელი ცხოვრება განუხებს, პასუხს ვერ პოულობ და მაინც იავნანას უმღერი პატარას უფრო გულშიჩამწვდომს, სევდიანს, ცრემლიანს. ამქვეყნად თითქოს ყველაფერი ქრება, გეუფლება შიში და უიმედობა, მტანჯველი ფიქრი ადამიანებისაგან გაქცევის, საკუთარ სამყაროში ჩაკეტვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან ჩემი ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც შვილი გამიჩნდა, ეს იყო 26 წლის წინათ, მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული მომავალი. მხიარული, უდარდელი გოგონას ცხოვრება ცრემ-

ლმა, სევდამ, უიმედობამ, სასონარკვეთამ შეცვალა. ჩემთვის სიმართლე არავის უთქვამს, დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ განგებამ დედობის სიხარულთან ერთად განუზომელი ტკივილი მარგუნა. არავინ იცოდა, რას განვიცდიდი სანუკვარი სიტყვის, „დედის,“ წარმოთქმის მოლოდინში, რამდენჯერ თავზე დამთენებია, დაუცხრომელი იმედით შევყურებდი შვილის ყოველ მოძრაობას, მაგრამ მედიცინაც უძლური აღმოჩნდა.

გუშინდელივით მახსოვს დანანევრებით წარმოთქმული პირველი ბგერები დედა, სიხარულის ელდა, თითქოს იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა, ირაკლი მეტყველებას შეძლებს? მე უსიტყვოდ მესმოდა მისი, თუმცა საზოგადოებას ჩვენი ტკივილი ოდნავადაც არ მიჰქონდა გულთან.

მიუხედავად საკმარისი დროის გასვლისა, ჯერ კიდევ გაკვირვებით უყურებენ ჩემს შვილს, მისი თანდასწრებით მისვამენ უხერხულ კითხვებს – სმენა აქვს? ექიმები რას ამბობენ? ეშვებოდა რამე? და ა.შ. ეს ის კითხვებია, რომელიც არ უნდა დაუსვან მშობლებს, მით უმეტეს, შვილის თანდასწრებით.

ბევრჯერ უტკენია გული საზოგადოების მკაცრ, უტაქტო დამოკიდებულებას. ხანდახან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაცინვის ობიექტიც გამხდარა, რაც მშობლისათვის ძალიან ტკივილნარევი გრძნობის მომგვრელია, მაგრამ საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ჩვენ დაზღვეული არ ვართ არასასიამოვნო მოვლენებისაგან, რომ ხვალ, ზეგან მახვებ, ნებისმიერი ადამიანი შესაძლოა, ანალოგიურ მდგომარეობაში ჩავარდეს, ამის მაგალითი ძალიან ბევრია და საზოგადოება ამ თემას ძალიან ფაქიზად უნდა მოეკიდოს.

ოცი-ოცდაორი წლის წინათ, ვერც წარმოვიდგენდი, რომ მე, როგორც მშობელს, ამ კატეგორიის ადამიანებთან შეხება მექნებოდა. საზოგადოების ერთ ნაწილს ჰგონია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ არც სიხარულის და არც ბედნიერების უფლება, მიაჩნიათ, რომ ისინი უნდა იყვნენ ცალკე, იზოლირებული ცალკე სკოლებში, ცალკე თავშეყრის ადგილებში, კაფე-ბარებში, რესტორნებში და ა.შ. აღარ ვლაპარაკობ იმ არადაპტირებულ გარემოზე, რომელიც მთელ რიგ დაპროკოლებებს ქმნის არა მარტო მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით, რომლის ხსენებაც ასე მოდურია ჩვენს საზოგადოებაში, არამედ ყოველდღიური ელემენტარული პირობებით, როგორც სახლიდან გამოსვლა, მაღაზიაში შესვლა და პურის ყიდვა, აღარაფერს ვამბობ, რამდენად მიუწვდომელია მათთვის რომელიმე დაწესებულებაში შეღწევაც კი.

მინდა ვთქვა, რომ მარტო პანდუსის გაღება არ არის ინტეგრაცია., საზოგადოების მენტალიტეტი – აი, რა არის მთავარი პრობლემა. ინტეგრაცია არის საზოგადოების მიმდებლობა, როგორ და რა სახით მიიღებს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს. გარკვეული დროის უკან, როდესაც მე, სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზაჯვარედინზე ვიდექი გაურკვეველობის პირისპირ, როდესაც არ ვიცოდი, როგორ გავართმევდი თავს ამ უმძიმეს მდგომარეობას, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, საიდან და როგორ დამეწყო, არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი, თუნდაც ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც ამ უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლაში დამეხმარებოდა. ამასობაში გავიდა ძვირფასი დრო და ამ პერიოდში მივხვდი, რომ ჩემი შვილის-



თვის ყველაზე საჭირო იყო საზოგადოებასთან ურთიერთობა და სწორედ აქედან დაიწყო ცივი, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების არაცივილური დამოკიდებულება. საზოგადოების პირველი რეაქცია ის იყო, როდესაც ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანა გადაწყვიტე ბალის გამგემ განმიმარტა, რომ ასეთი ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები და ჩემს შვილს ვერ მიიღებდა. ასე დაგვიხურეს ბალის კარები. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ბალის გამგესთან შეპასუხებას აზრი არ ჰქონდა, მახსოვს მისი კაბინეტიდან გამოსული ცრემლს როგორ ვმაღავდი ბავშვს რომ არ დაენახა. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში სიტყვა „ინკლუზია“ არა თუ არსებობდა, მისი მნიშვნელობაც კი არ იცოდნენ. ბალის გამგემ უარი გვითხრა საბავშვო ბაღში მიღებაზე იმის გამო, რომ ჩემი შვილი შეზღუდული შესაძლებლობის იყო. ეს იყო ბავშვის დაბადების შემდეგ პირველი შოკი. შემდეგ გაგვაგზავნეს სპეციალურ საბავშვო ბაღში, რომელიც გლდანის რაიონში მდებარეობდა. მას ძალიან უჭირდა დამოუკიდებლად ყოფნა, მაგრამ მაინც დავტოვე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩემი შვილი პირველად აღმოჩნდა თავის პატარა საზოგადოებაში დამოუკიდებლად, მე მის იქ ყოფნას და საქციელს შორიახლო ვადევნებდი თვალს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე არ იყო დაწესებულება, ორგანიზაცია ან თუნდაც საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ახალბედა მშობლებს რჩევა-დარიგებას მისცემდა. მაშინ მივხვდი, რომ დიდ საზოგადოებას ჩემისთანა ადამიანებისათვის არ ეცალა, სხვა რამით იყო დაკავებული და სრულიად არ აინტერესებდა ჩვენი ბედი. თქვენ წარმოიდგინეთ, ნებისმიერი ფეხმძიმე ქალი, როგორი სიხარულით ელოდება იმ დღეს, როდესაც მისი პირმშო ამ ქვეყანას მოევილინება. მასთან ერთად სიხარულის მოლოდინშია მისი მეუღლე, ოჯახი, დიდი სანათესაო და სამეგობრო წრე და მერე, მშობიარობის შემდეგ, უმძიმეს შოკში ექცევა ყველა, იმის გამო, თუ ბავშვი ფიზიკური ან გონებრივი ნაკლით დაიბადა. ცოტა ხნის შემდეგ გულის შეტევით მეუღლეს გარდაამცვალა და დავრჩი მარტო ცხოვრების პირისპირ, რომელსაც თან ახლდა უმძიმესი სიტუაცია, როგორც იტყვიან ხელის ცეცებით ვიკვლევდი გზას. ვეძებდი და ვკითხულობდი შესაბამის ლიტერატურას, რომ რაც შეიძლება მეტი გამეყო და მესწავლა ჩემი შვილის დაავადების შესახებ, მრავალი კითხვით ვანუხებდი ექიმებს, პედაგოგებს, სოციალურ მუშაკებს..

ამას ვაკეთებდი იმიტომ, რომ მსურდა, უფრო მეტად დავხმარებოდი ჩემს შვილს და შემემსუბუქებინა მისი მდგომარეობა. ამასობაში გავიდა სკოლამდელი ასაკი და დადგა სკოლაში შესვლის დრო. ეს იყო ჩემთვის ძალიან მტკივნეული და გაურკვეველი პერიოდი. ამ დროს არსებობდა სამედიცინო პედაგოგიური კომისია, რომელიც ბავშვებს მათი შესაძლებლობის შესაბამისად, დიფერენცირებულად ანაწილებდა სხვადასხვა სკოლაში. ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიტყვა „ინკლუზიის“ მნიშვნელობაც კი არ იცოდნენ, არ არსებობდა ინკლუზიური განათლება, ასეთი ბავშვებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კარი დახურული იყო.

ჩემი შვილი ერთ-ერთ დამხმარე სკოლაში განაწილეს, სადაც ძალიან მძიმე კონტიგენტი აღმოჩნდა, რის გამოც გადავიყვანე 193-ე საჯარო სკოლაში, გადიოდა დრო სკოლაში სიარულმა დიდი წარმატება მოუტანა, რა არის ჩვენთვის წარმატება? - ამჟამად, დღის ცენტრში დადის, სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებაში მონაწილეობს, ის ძალიან ბედნიერია, რადგან ახლა თვითონ შეუძლია სხვების დახმარება, საოცრად კეთილი და გულისხმიერია. გახდა თვითდაჯერებული, ინიციატივანი, შრომობს, თავს გრძნობს სრულფასოვან ადამიანად და ამ გზით მოხდა მისი სოციალური დაკავშირება. მას დიდი სიხარული მოაქვს როგორც ოჯახის წევრებისთვის, ისე მეგობრებისთვის.

მაგრამ ყველაფერს ამას წინ უძღოდა სპეციალისტების მკაცრი პროტესტი ჩემი შვილის განათლების გამო. მეუბნებოდნენ – „იცით რა, თქვენი შვილი ვერ ისწავლის, მას სახელმწიფოსაგან დანიშნული აქვს პენსია და არ არის აუცილებელი, რომ მან მიიღოს განათლება. გყავდეთ სახლში. – პენსია ხომ აქვს და რატომ აწვალვით. იყოს თავისთვის და თქვენც დაისვენებთ“. მიუხედავად ამისა, არ დაუფუჯრე ამ ადამიანებს და მაინც მივიყვანე სკოლაში, ვცდილობდი რაც შეიძლებოდა მეტ ხანს ყოფილიყო თავის თანატოლებთან, თავის ახალ სამყაროში, რომელიც მას ძალიან სჭირდებოდა და იცით რა მივიღე ამ მცდელობისგან? – მას გამოუმუშავდა მოსმენის კულტურა, მას უხაროდა სკოლაში მისვლა, სადაც ის და მისი მეგობრები სწავლობდნენ, დადიოდა გაკვეთილებზე, სადაც ბევრი რამ ისწავლა, შეიძინა მეგობრები, რომლებთანაც ურთიერთობს და იცის, რომ ის მათი ე.ი. საზოგადოების ერთ-ერთი წევრია. ისწავლა ქცევის წესები, დავალების შესრულება, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოუმუშავდა, შეიძლება პროგრამა სრულყოფილად ვერ დაძლია, მაგრამ ის საზოგადოებაში ინტეგრირებულია, განუვითარდა სოციალური უნარ-ჩვევები. რომ დამეჯერებინა მათთვის და სახლში გამომეკეტა, ისწავლიდა ყოველივე ამას, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ეყოლებოდა მეგობრები, ეცოდინებოდა ვინმეს მისი არსებობა, გარდა ვინრო წრისა, რომელიც რამოდენიმე ადამიანს ითვლის? – არა, რა თქმა უნდა! და იმიტომ, თხოვნით მინდა მივმართო იმ ახალბედა მშობლებს, რომლებიც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგანან – არავითარ შემთხვევაში არ გამოკეტონ თავიანთი შვილები ოჯახებში, მიიყვანონ სკოლაში, მისცენ განათლების საშუალება, აუცილებლად გამოიყვანონ ოჯახებიდან, წაიყვანონ კინოში, თეატრში, წვეულებებზე, ცირკში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე და ყველგან, სადაც მიეცემათ მა-

თი ნაცვანის შესაძლებლობა.. ზოგიერთი მაღავს ასეთ შვილებს ისე, რომ ნათესავ-მეგობრებმაც კი არ იციან მათი არსებობა, რცხვენიათ, ეთაკილებათ. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ მათ ღმერთმა საჩუქარი უძღვნათ თავიანთი შვილის სახით. თუ ოჯახმა არ აღიარა და მიიღო შშმ პირი, როგორიც არის, მაშინ როგორ მიიღებს მას დიდი საზოგადოება? იმიტომ, პირველ რიგში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სოციალიზაცია უნდა იწყებოდეს ოჯახიდან, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება საზოგადოებაში მისი ინტეგრაცია.

ის მშობლები, რომლებიც ბავშვს იღებენ და აღიარებენ ისეთს, როგორიც არის, ყურადღებით ადევნებენ თვალს მის რეაქციებს, უხარიათ მისი ყოველი აქტიური მოქმედება, დიდ შედეგებს აღწევენ.



ისევე საზოგადოების დამოკიდებულების თემას მინდა დავუბრუნდე. ჩემს შვილს ძალიან უყვარდა მეზობლის ბავშვებთან თამაში, განსაკუთრებით, პატარა ნინიკო. ისიც დიდი მზრუნველობით ექცეოდა. ერთხელ თამაშის დროს გაკაპასებულ ქალის კვილიმა არემარე გააყრუა... „რამდენჯერ გითხარი ბებია, ირაკლი ავადმყოფია, ვერ ლაპარაკობს არასოდეს გაბედო მასთან თამაში.“ ბავშვები გაოგნდნენ. ირაკლის დიდრონ თვალეებში ცრემლი აკიფდა, ამ სიტყვების გაგონებაზე მონუსხულივით წამოვვარდი, ბავშვი გულში ჩავიკარი: ნუ გემინია, დედიკო, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, ცოლვა მხოლოდ ის კი არ არის ადამიანი მოკლა, „ენით დაკოდე“ უფრო დიდი მკრეხელობაა, ჩავიბუტბუტე და იქაურობას გავეცალეთ.

ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მზაობის როლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმღებლობა და მათი განათლების უზრუნველყოფა. – ამჟამად, საქართველოს კანონი ყველა ადამიანს აძლევს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას.. მშობლებს მიეცათ არჩევანის შესაძლებლობა, დირექტორებს უფლება არ აქვთ, ბავშვს უარი უთხრან სკოლაში მიღებაზე მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რომელიც ძალიან კარგია და მისასაღმებელია, მაგრამ აქ მთავარია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს შეუქმნან კეთილგანწყობილი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სერვისებით. ე.ი. მათთვის ადაპტირებული იქნება სკოლის შენობა, მომზადებული იქნება პედაგოგიკური და მოს-

წავლევები, გარემო მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგიითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. ხშირად მშობლების მხრიდან მოდის უარყოფითი რეაქცია იმის გამო, რომ არ სურთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა ისწავლონ მათ ჯანმრთელ შვილებთან ერთად.

მე მსურს მივმართო ასეთ მშობლებს, გამონაკლის პედაგოგებს და დავამშვიდო, რომ შეზღუდული შესაძლებლობა (ე.ი. ინვალიდობა) გადამდები არ არის. თუ დამიჯერებენ ვეტიყვი, რომ გადამდებია სიკეთის ქმნა, კაცთმოყვარეობა, თანადგომა და სხვისი გასაჭირის აღქმისა და გათავისების შეგრძნება. თავიანთი უნებლიე საქციელით ნუ ასწავლიან თავიანთ შვილებს თუ მოსწავლეებს სხვა ადამიანის ზიზღს ფიზიკური ან მენტალური შეზღუდვის გამო, რომელიც შემდეგ ბევრ არაკაცურ თვისებებს წარმოშობს. მიიხედ-მოიხედონ, ცოტა ხნით მინაზე დაემჯინ და ღმერთს შეხედონ. ძალიან ძნელია სინდისის ქენჯნის გაძლევა იმის გამო, რომ შეგეძლო სიკეთის კეთება და არ გააკეთე, თუმცა, სანამ სინდისი ქეჯნას დაუწყებს ადამიანს, მანამდე სინდისი უნდა გააჩნდეს.

ჯერ კიდევ არის დამკვიდრებული ისეთი ტენდენცია, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოებისაგან მათ იზოლაციას. მოვიყვან ერთ მაგალითს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კონკურსის გავლის შემდეგ გაგზავნილი ვიყავი ქ. თბილისის ერთ – ერთ ცენტრალური რაიონის საჯარო სკოლაში დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. როცა თანამშრომლებს ჩემი საარჩევნო პროგრამა წარვუდგინე, რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც ინკლუზიური სწავლება შეადგენდა და გაიგეს, რომ მე შვილი მყავდა შეზღუდული შესაძლებლობით, უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათ უარი თქვეს დირექტორად ჩემს არჩევანზე, იმ მიზეზით, რომ ახლად არჩეული დირექტორი სკოლაში „ინვალიდებს“ მოიყვანდა, სკოლას „ინვალიდების“ სკოლად გადააქცევდა. აი, ასეთი იყო იმ სკოლის პედაგოგთა მენტალიტეტი. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი ამბიცია დირექტორობა კი არ იყო, მსურდა, საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლება დამენერგა, რაც ისევ და ისევ სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც, დირექტორად არჩევას უფრო მეტი შინაარსი რომ მისცემოდა, ჩემი პროგრამის პრეზენტაციის დროს იმ საჯარო სკოლაში ჩემი მეგობრები, მივიყვანე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციიდან „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.“ სკოლის პედაგოგებმა, რომ დაინახეს ამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ერთად, რომელთაც უჩვენეს ფილმი წარმატებულ ინვალიდობის მქონე პირზე, რომელიც დღეს საზოგადოების აქტიური წევრია, მთლად აიშალნენ. გამართულ დისკუსიაზე, დაუფარავად თქვეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საჯარო ორგანიზაციებში (ე.ი. სკოლაში) კი არა, ცალკე შენობაში უნდა იყვნენო. ამ ფაქტით აღშფოთებულმა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყანაში საინვალიდო მოძრაობის განვითარებაში, შესძახა: „ქალბატონებო! მე თქვენთან ერთად მინდა ცხოვრება და რატომ მიშენებთ ცალკე შენობასო,“ თუმცა ამ შეძახილმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. აი, ასეთი კურორტები ხდება ჩვენთან, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ადამიანები განათ-

ლების საქმეს ემსახურებიან. სამწუხაროდ, მე თან არ მქონდა ვიდეოკამერა, თორემ საზოგადოება ნახავდა ტრაგიკომიკურ გადაცემას, სადაც მთავარ როლს განათლების მუშაკები თამაშობდნენ, ის პედაგოგები, რომლებიც თავად უნდა ყოფილიყვნენ ტოლერანტობის, შემწყნარებლობის, კაცთმოყვარეობის და მრავალი სიკეთის მატარებელი და პროპაგანდისტი.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ არ მიმილო იმის გამო, რომ მყავდა შვილი განსხვავებული შესაძლებლობით. საზოგადოებამ არ მიიღო ჩემი მეგობრები, წარმატებული შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები, ვერც გააცნობიერეს, რისთვის მოვიდნენ ისინი, რა სურდათ, ეთქვათ ამ ადამიანებს მათთვის.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გადახედოს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს. საქმე იმაშია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ინვალიდობის პრობლემა, მხოლოდ იმ ოჯახების პრობლემად მიაჩნია, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის ოჯახის წევრი ჰყავს. მე, პირადად, მრავალჯერ შემხვედრია საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემებისადმი. როდესაც ჟურნალისტად ვმუშაობდი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ გაზეთში, ვწერდი და ვაშუქებდი სოციალურ, მათ შორის, „ინვალიდობასთან“ დაკავშირებულ თემებს, რითაც მსურდა წინ წამომენია არსებული პრობლემები, საზოგადოებისთვის მეჩვენებინა ამ ადამიანთა შესაძლებლობები, იქაც ძალიან დიდ დაბრკოლებებს საწყდებოდა როგორც ჟურნალისტი. მასხოვს ერთხელ რედაქციაში განმიმარტეს – „მასალა ისევ „ინვალიდებზე“ მოიტანე? დაიმასხოვრე, ეს არ არის „ინვალიდების“ გაზეთი. ისინი თვლიდნენ, მე ვწერდი იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი და ჩემი ოჯახის პრობლემა და არა საზოგადო, რომელზეც ახლა იყო ლაპარაკი. მე კი ვფიქრობ რომ, მედიას მთავარი როლი აკისრია საზოგადოების ხედვისა და დამოკიდებულების შეცვლაში. მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკის როლი, როგორ მიაწვდის აღნიშნულ თემას საზოგადოებას. თუ ენერგიულად არ ჩაერთვება მასმედიის ყველა საშუალება ამ საკითხების საზოგადოებამდე მიტანაში, თუ საინფორმაციო სივრცეში ეს თემა არ დაიმკვიდრებს სათანადო ადგილს, მარტო ჟურნალისტიკის ტრეინინგი, რომელიც ძალიან ხშირად ეწყობა ამ თემასთან დაკავშირებით, არაფრის მომცემი იქნება. ტრეინინგები უნდა ჩაუტარდეთ რედაქტორებს, საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელებს, რათა ამის შემდეგ საინფორმაციო სივრცის პრიორიტეტებში გაითვალისწინონ ამ თემის აქტუალობა. ყველა მედია საშუალებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია ამ საკითხის ფართოდ გაშუქებისათვის და შედეგიც არ დააყოვნებს. თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები განხილული იქნებიან, როგორც სანწყლები, მშიერნი და უპოვარნი, რა თქმა უნდა ქველმოქმედების საგნად გადაიქცევიან.

ხოლო თუ საზოგადოებას დავანახებთ მათ ნიჭს, შემოქმედებით შესაძლებლობებს, წარვუდგინთ, როგორც სულიერად ამაღლებულ პიროვნებებს, რომლებსაც საქვეყნო საქმეების კეთება შეუძლიათ, როგორ დაძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მის წინაშე წამოჭრილი

სიძნელეები და დღეს წარმატებული ბიზნესმენია, როგორ გახდა წარმატებული ხელოვანი ან მრავალშვილიანი მამა, რომელიც დღეს წარმატებული პიროვნებაა და ა.შ. თუ ასეთი პოზიციიდან იქნებიან განხილული ეს ადამიანები, მაშინ საზოგადოება დაინახავს, რომ თურმე ესენიც ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილან, შესაბამისად ადეკვატურად განეწყობა მათ მიმართ და აუცილებლად მიიღებს თავის წილში. საზოგადოებას უნდა შევხსენო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი პარალიზებული და ინვალიდის ეტლს ხმარობდა, გენიალური კომპოზიტორი ბეთჰოვენი ყრუ იყო, ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტის იმ კათედრაზე, სადაც თავის დროზე თვით ისააკ ნიუტონი მოღვაწეობდა, მუშაობს პარალიზებული პროფესორი სტივენ ჰო კინგი, რომელიც თანამედროვე კოსმოლოგიისა და ფიზიკის მეცნიერ-თეორეტიკოსი და უდიდესი აღმოჩენების ავტორია. ეს მცირე რიცხვია ინვალიდობის მქონე იმ ადამიანებისა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში..

ბუნებრივია მე, როგორც მშობელი და ამ საკითხებში ღრმად გარკვეული ადამიანი, არავის არ ვუსურვებ ანალოგიურ მდგომარეობაში მოხვედრას, მაგრამ მსურს, საზოგადოებას ასევე შევხსენო, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. დღეს სრულიად ჯანმრთელი და ბედნიერი ადამიანი შემთხვევის გამო ხვალ შეიძლება შშმ პირი გახდეს.. ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ინვალიდობა“ სოციალური პრობლემაა და არა კერძო პირთა (თუმცა ეს თავისთავად ასეც არის) პრობლემა, ამიტომ ამ საქმეში ყველა უნდა ჩაერთოს, თუნდაც ხვალინდელი დღის (ანუ მომავლის) პროფილაქტიკისათვის.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არ აქვთ ოჯახის შექმნის, სიყვარულის უფლება ან მათ მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ პირადი ცხოვრება. შვილის განსხვავებულობა თითქოს ერთგვარი დამლა თვით მშობლისთვისაც, მავანნი თვლიან, რომ თუ ერთი შვილი გყავს შეზღუდული შესაძლებლობით სხვა შვილებიც ასეთი გეყოლება, ასეთი შეხედულება მცდარია. ზოგ შემთხვევაში, ასეთ მშობლებს, როგორც კეთროვანებს ისე უყურებენ, შვილების მდგომარეობის გამო ბევრი მშობელი ოჯახური ძალადობის მსხვერპლიც კი გამხდარა, ისინი ორმხრივ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში არიან – რატომ? მე, როგორც მშობელს გული მტკივა, როცა შვილის მომავალზე უტაქტოდ შეხედულებიან – შენი შვილი შეიძლება დაოჯახებას? – რატომ ვერ შეიძლება? ვინ დაანესა, რომ წერტილი დაუსვას იმ ადამიანების გრძნობებს, რომლებსაც განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ? ვის შეუძლია, რომ წაართვას ბედნიერების უფლება? წაართვას ბედნიერების უფლება თუნდაც იმ დოზით, როგორსაც ისინი აღიქვამენ ამ სამყაროს? ვინ დაამთავრა იმ მშობელთა ცხოვრება, რომელთაც აქვთ სურვილი ჰქონდეთ პირადი ცხოვრება, შექმნან ოჯახი მიუხედავად შვილის განსხვავებული შესაძლებლობისა? ვის აქვს უფლება, დაასრულოს მათი ცხოვრება?

ძვირფასო მშობლებო, ნუ აღიქვამთ ტრაგედიად იმას, რომ თქვენი შვილი განსხვავებულია, ნუ დაუსვამთ წერტილს თქვენს ცხოვრებას, გაითავისეთ რეალობა, მიიღეთ და შეიყვარეთ თქვენი შვილი ისეთი, როგორც არის, ცხოვრება არ დამთავ-

რებულა, იგი გრძელდება, ცხოვრება მშვენიერია.

თუ პიროვნებას გააჩნია გარკვეული შეზღუდულობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან არ უნდა შექმნას ოჯახი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია სიყვარულის, ბედნიერებისა და ამ ქვეყანაში თავის ადგილის დამკვიდრების უფლება, პირიქით, საზოგადოება ყველანაირად უნდა ცდილობდეს მათ დახმარებას და ნახალისებას ამ მიმართებით.

გარდა ამისა, ჩვენ, მშობლებს, ხშირად გვიხდება თავის მართლება საზოგადოების წინაშე. ისმება კითხვა – რატომ უნდა ვიმართლო თავი ვიღაცის წინაშე? – ეს ჩემთვის გაუგებარია. როდესაც მონესრიგებული გამოვდივარ გარეთ და სახეზე ღიმილს შემაძრწევინ, გაკვირვებულ მზერას გამომაყოლებენ, საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ, რადგან შვილი მყავს შეზღუდული შესაძლებლობით, სულ დამწუხრებული, დათრგუნული უნდა დავდიოდე. თუ ამ ღიმილს ქალისთვის დამახასიათებელი მონესრიგებულობა დაემატა, თვლიან, რომ ჩემისთანა უდარდელი და მხიარული ამ ქვეყანაზე არ დაიარება. ეს ყველაფერი ხომ დიდი ნებისყოფისა და უდიდესი ძალისხმევის შედეგია. მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში, მაგრამ არ მინდა, ჩემი განწყობით სხვას შევუქმნა დისკომფორტი. ჩემი გასაჭირი მხოლოდ ჩემია და არ მაქვს უფლება, ამით სხვა დავაზარალო. თუ სხვას კეთილგონიერება ეყოფა და ჩემს ღიმილში იმას დაინახავს, რისთვისაც ვიღიმები, მადლიერი დავრჩები. მე კი უფლებას ვიტოვებ, რომ მივმართო იმ ახალბედა მშობლებს, რომლებიც ანალოგიური პრობლემების წინაშე დგანან და ეძებენ ამის დასაძლევ გზებს – მოძებნეთ ძალები თქვენს თავში და დათრგუნეთ ყველა ის უარყოფითი ემოცია, რომელსაც საკუთარი შვილის მდგომარეობა წარმოშობს. ეს აუცილებლად უნდა შეძლოთ, იმიტომ, რომ პირველ რიგში ეს საჭიროა ისეც და ისეც თქვენი შვილისათვის, მისი მომავლისათვის. რა თქმა უნდა, როგორც ყველა ადამიანს მეც გააჩნია ჩემი ადამიანური სისუსტეები. როდესაც განვმარტოვდები და დარდი მომეძალება, რომელსაც ასე მალულად ვატარებ, ზოგჯერ მწარედ ვქვითინებ კიდეც, მაგრამ იმ დროს თავზე წამომდგარი შვილის გაოცებისაგან გაფართოებულ თვალებს და მის ემოციებს რომ დავინახავ, მაშინვე ღიმილით მევსება სახე, ყველაფერი მავიწყდება და „კარგ“ ხასიათზე ვდგები. მე უფლება არ მაქვს, რომ ჩემი შვილი ან სხვა თვალცრელმილიანს მხედავდეს, იმიტომ რომ ირაკლის მხოლოდ ასეთი დედა სჭირდება, მუდამ შემართული, ღიმილიანი, ამგვარი ქცევით ვცდილობ, მას შევუქმნა ხალასი სამყარო.

მშობლებს ხშირად ანუხებთ განცდა, რომ ისინი დასაჯა ღმერთმა რაღაც დანაშაულის გამო და სვამენ კითხვას – რატომ? რატომ მაინცდამაინც მე? და თავი უბედურად მიაჩნიათ. მრავალი წლის განმავლობაში ჩემი მდგომარეობის გაცნობიერების შემდეგ ვთვლი, რომ მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ასეთი შვილი მაჩუქა ღმერთმა, იმიტომ, რომ მე ამირჩია სიკეთისა და კეთილი საქმის საკეთებლად არა მარტო ჩემი შვილისათვის, არამედ ყველა ასეთი ადამიანისათვის და ეს არის უდიდესი ძალა, მაღალი, რომელიც უფალმა მიწყალობა.

ჩემმა შვილმა შეცვალა ჩემი ცხოვრება და ჩემი პროფესია. მე ბევრი რამ ვისწავლე მისგან, მის სამყაროსთან ურთიერთობით. მე ვიყავი ჟურნალისტი,

მაგრამ პარალელურად ბევრს ვკითხულობდი სპეციალურ ლიტერატურას, მაინტერესებდა, ბევრი მცოდნეოდა ჩემი შვილის დაავადებისა და, საერთოდ, ამ სამყაროს შესახებ. ძიებამ უფრო შორს წამიყვანა, აღარ მაკმაყოფილებდა ის, რომ ვიყავი პრაქტიკოსი მშობელი, გადავწყვიტე გავმხადირავი პროფესიონალი და პროფესიული დახმარება გამეწვინა ინვალიდობის მქონე პირებისათვის. რის შემდეგაც დავამთავრე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ასპირანტურა სპეციალური პედაგოგიკის მიმართულებით, გავხდი სპეციალური სკოლის დირექტორი, ამჟამად, სამეცნიერო მუშაობასაც ვწევი, ჩემი სადისერტაციო ნაშრომია „ინტელექტუალური ბავშვთა სოციალური ინტეგრაცია.“ გავიდა წლები, ბევრი რამ შეიცვალა მეც გავიზარდე ჩემს შვილთან ერთად. ბევრი პრობლემა შეგვხვედრია: საზოგადოების დამოკიდებულება, მოუმზადებელი გარემო, მოუმზადებელი პედაგოგები, სწავლების მოძველებული მეთოდები, მოუმზადებელი მშობლები, მოძველებული სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არარსებობა-აი, ის პრობლემებია სპექტრი, რაც ჩემი, როგორც მშობლის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. მეც თანდათან გადავლახე ცხოვრებაში ის ბარიერი, რომელიც ასეთი ბავშვების გაზრდას მოსდევს ხოლმე. ეს ჩემი ტკივილია დაფარული, მარადიული, გაცხადებული ის ძალისხმევაა, რომლითაც შევძელი შემექმნა მშობელთა ასოციაცია და საინფორმაციო გაზეთი „მშობლის ხმა“.

აღნიშნულმა მიზეზებმა გადამაწყვეტინა განათლების სისტემაში მოსვლა, რათა ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ინკლუზიური სწავლების დანერგვის პროცესში, ამავე პრობლემებმა გაგვავრთინა მშობლები ჯერ კიდევ აქტიურ ჟურნალისტიკაში ყოფნის დროს, რათა ერთად გვებრძოლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული მენტალიტეტის შეცვლისათვის. ეს იყო 1997 წელს. აქედან მოყოლებული აქტიურად ვართ ჩაბმული ჩვენი მიზნების განხორციელების საქმეში. ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდებაა „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“, ვმუშაობთ, სმენის, მეტყველების დარღვევისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებთან. დავამყარეთ ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო დონორების დახმარებით, მრავალი სასიკეთო საქმე გავაკეთეთ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ჩვენ ვმუშაობთ შშმ პირთა პრობლემებზე – მათი განათლების, პროფესიული სწავლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით. მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები არიან ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი და ვერ წარმომიდგენია სხვა გარემო, რომელშიც ცხოვრებას შევძლებდი. მე ბედნიერი ვარ მათთან ურთიერთობით. მათ აქვთ სუფთა, ხალასი სამყარო და ყველაფერმა ამან სიკეთის საკეთებლად განმანყო. ეს ის დადებითი მუხტია, რომელთა არსებობა აუცილებელია ამ ქვეყანაზე, მათ ხომ საზოგადოების გაკეთილშობილება შეუძლიათ.

მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლის შემდგომი განათლება – ეს ძალზედ მტკივნეული თემაა პირადად ჩემთვის და ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. კანონი

განათლების შესახებ არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ზოგადი განათლების მიღებას, მაგრამ ის, რაც განხორციელდა სკოლაში სკოლის პედაგოგიკისა და მშობლების დახმარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაფერი წყალში იყრება, იმიტომ რომ მათ სხვაგან წასასვლელი არ აქვთ და იძულებული არიან ისევ სახლში გამოიკეტონ. ნარმატებით მიმდინარეობს პროფესიული ინკლუზიური განათლების რეფორმა, მგრამ პროფესიული გადამზადების ცენტრები არ არის მორგებული ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებებს. არსებობს ერთადერთი სოციალური სერვისი, დღის ცენტრი, რომელიც საჭიროებს გაძლიერებასა და ალტერნატიული სერვისის განვითარებას.

სასურველია, შეიქმნას სახელობო გადამზადების ინკლუზიური ცენტრები, სადაც ეს ადამიანები შეძლებენ სხვადასხვა ხელობის დაუფლებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელობო განათლება და დასაქმება დღეს დიდი პრობლემაა. სკოლის დამთავრების შემდეგ ამ კატეგორიის ადამიანებს ექმნებათ სერიოზული პრობლემა, ისინი აღარ არიან საჭირო აღარც სკოლისთვის, აღარც საზოგადოებისთვის, გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სახელობო განათლება დამატებით სახელმწიფო რესურსს მოითხოვს, რაც აფერხებს ამ ადამიანებში დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევების განვითარებას, მათ თვითრეალიზაციასა და ინტეგრაციას.



საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის განკარგულებით, „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციას“ უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, „სოციალური რეაბილიტაციის მრავალპროფილიანი სახელობო ინკლუზიური ცენტრის“ ასამოქმედებლად, სადაც შესაძლებლობა გვექნება, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს, მულტიდისციპლინური გუნდური პრინციპის საფუძველზე, ინდივიდის ძლიერ მხარეზე დაყრდნობით, ფუნქციონალური მიდგომის პრინციპით, ვასწავლოთ ხელობა, ჩავრთოდ მათ საჭიროებებზე მორგებულ სახელსწიფოში და ამ გზით მოხდეს მათი შრომით ბაზარზე გასვლა, რითიც ხელი შეეწყობა თაბარი პირობების შექმნას მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის.

აქვე გაცნობებთ, რომ სახელობო ინკლუზიური ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს ინვალიდობის მქონე პირთა პროფესიულ განვითარებას, სახელობო კომპლექსური მომსახურების სისტემის შექმნას, დასაქმების პირობების, ახალი სამუშაო ადგილების და შემოსავლის შექმნას, რაც სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასა და სამიზნე ჯგუფს.

ამავე დროს აღსანიშნავია, იგი ნამდვილად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ძირითად პრინციპებს, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა(ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის“ ძირითად პრინციპებს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკასა და სტრატეგიას, ხელს შეუწყობს ინვალიდობის მქონე პირთა სოციალურ ინტეგრაციას.

ჩვენ, მშობლებს, გვაქვს ამ ადამიანებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, გვსურს, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაჭრის საკითხში და გვერდით დავუდგეთ საქართველოს ხელისუფლებას, მოვიზიდოთ სახსრები, სხვადასხვა დონორის დახმარებით, სახელობო ინკლუზიური ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად და სახელოსნოების მოსაწყობად.

რა შეგვიძლია ჩვენ, მშობლებს? შეგვიძლია ის, რომ გვერდში დავუდგეთ სახელმწიფოს და დავეხმაროთ ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში. ეს ხომ ჩვენი შვილების კეთილდღეობისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება! ამიტომ, გვინდა, შევქმნათ ისეთი დაწესებულება, სადას სკოლის დამთავრების შემდეგ ეს ადამიანები ისწავლიან და შეიძენენ ხელობას, ვილაცის ხელის შემყურენი აღარ იქნებიან, თავიანთი შრომით შეძლებენ თავის რჩენას. მსგავსი სახელობო ინკლუზიური ცენტრი არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში, მისი ამოქმედება პირველი ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით.

ინვალიდობისგან დაზღვეული არავინ არის, ეს თუ გაითავისე, პირველი ნაბიჯი გადადგმულია, რომ გახდეს სრულყოფილი მოქალაქე, შემდეგ იწყება ძნელად სავალი გზა, შეცვალო საკუთარი თავი, ოჯახი, მეგობრები, საზოგადოება და „ბოლოს, მთელი ქვეყანა.

კიდევ რა შეუძლიათ მშობლებს? – საზოგადოების ხედვისა და დამოკიდებულების შეცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ნაკლებად არის გაცნობიერებული ამ ადამიანების საჭიროებებში, მნიშვნელოვანია მშობელთა გააქტიურება, რათა ერთად გადაწყვიტოთ ჩვენი შვილების მომავალი და დავამსხვრიოთ ის ბარიერი, რომელიც არსებობს ჯანმრთელებსა და ინვალიდობის მქონე პირთა შორის, ერთად შევცვალოთ საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი და ჩვენს შვილებს მივიჩინოთ კუთვნილი ადგილი საზოგადოებაში.

ვიყოთ ერთად!

პ.ს. წარმატებული მშობლის ისტორია, ვფიქრობთ, მოკრძალებულ წვლილს შეიტანს, როგორც ინვალიდობის პრობლემის წინაშე მდგარი მშობლების ცხოვრებაში, ისე საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში. სწორედ ამიტომ აირჩია ჟურნალის რედაქციამ ეს რუბრიკა – „მშობელი – მშობელსა და საზოგადოებას,“ ვფიქრობთ, წერილს საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვება, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კიდევ ერთხელ დააფიქრებს ინვალიდობის მქონე პირთა პრობლემაზე, მეტი გულისყურით მოეკიდება ამ ადამიანთა საზოგადოებაში სოციალიზაციის საკითხებს და დაეხმარება მათ, თავი სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ.

ველით თქვენს გამომხმაურებას, შენიშვნებს, მოსაზრებას, ჟურნალი შეეცდება, პასუხი გასცეს თქვენს ყველა შეკითხვას.

ბგერებით დანახული სამყარო

გიორგი ჯანელიძე



30 მაისს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. საღამოს სახელწოდება „ბგერებით დანახული სამყარო“ იყო, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონცერტი უსინათლო ადამიანების მხარდასაჭრად გაიმართა. პირველად საქართველოში ვარსკლავური ჯაზ-ტრიო აშშ-დან. უსინათლო ჯაზ-ვოკალისტი და პიანისტი, ორი გრემის მფლობელი, ახლანდელი მსოფლიოს ჯაზის პირველი ლედი დაიანა შორ, ბენ ვოლფი (კონტრაბასი) და დონალდ ედუარდსი (დასარტყამი). მათ გარდა, კონცერტში სხვა ქართველი და უცხოელი მუსიკოსები მონაწილეობდნენ. ეს გრანდიოზული ღონისძიება რამდენიმე თვის წინ შექმნილმა საქველმოქმედო ფონდმა „არპეჯიომ“ მოაწყო, რომლის დამ-

ფუძნებლებიც ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტები ალექსანდრე კორსანტია და თამარ შალვაშვილი არიან.



საერთაშორისო ფონდი „არპეჯიო“, რამდენიმე თვის წინ დაარსდა. მისი მიზანი უსინათლო ადამიანების სხვადასხვა კუთხით დახმარებაა. ფონდის დამფუძნებელი უსინათლო პიანისტი თამარ შალვაშვილია: „გამომდინარე იქიდან, რომ მეც მუსიკოსი გახლავართ, პრიორიტეტული სფერო, მაინც მუსიკასთან დაკავშირებული უსინათლოების დახმარება იქნება. საქართველოში საერთოდ არაა იმის პირობები, რომ ამ ადამიანებმა დამოუკიდებლად შეძლონ პროფესიის დაუფლება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ფონდი შეზღუდულია. ჩვენ გვინდა ყველანაირი პირობა შევქმნათ, რათა ამ ადამიანებმა საზოგადოების წევრებად უკეთ იგრძნონ თავი. ასე, რომ ნებისმიერი კუთხით ვეცდებით მათ დახმარებას“.

30 მაისს განსაკუთრებული იყო უსინათლო ჯაზ-ვოკალისტის, ქალბატონ დაიანა შორის ჩამოსვლა. ის არის ჯაზის დედოფალი და მას მსოფლიო ჯაზის პირველ ლედის უწოდებენ. ეს ქალბატონი თბილისში თავის ჯაზ-ბენდთან ერთად, დონალდ ედვარდსთან და ბენ ვოლფთან ერთად იმყოფებოდა თბილისში. „გარდა ამ კონცერტის საქველმოქმედო დატვირთვისა, ჩვენი მიზანი იყო, კიდევ ერთხელ დაგვემტკიცებინა საზოგადოებისთვის, რომ ე.წ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც,“ შეუძლიათ იყვნენ უმაღლესი დონის პროფესიონალები. ასევე, მონაწილეობდნენ არაჩვეულებრივი ქართველი მუსიკოსები“, გვითხრა მარიამ შალვაშვილმა. პროექტის მხარდამჭერები გახდნენ კულტურის სამინისტრო, ქალაქის მერია, ასევე რამდენიმე სარეკლამო კომპანია.

33 წლის მარიამ შალვაშვილი უკვე 6 წელია, ა.შ.შ-ში, ქალაქ ბოსტონში ცხოვრობს. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იქ განაგრძო სწავლა საერთაშორისო კლასის პიანისტთან საშა (ალექსანდრე) კორსანტიასთან. მისი პედაგოგი თბილისში საქვეყნოდ ცნობილი მაესტრო ედიშერ (ედიკო) რუსიშვილი გახლდათ. რამდენიმე საფეხურის გავლის შემდეგ, დაამთავრა ბოსტონის კონსერვატორია. როგორც მარიამმა სატელეფონო საუბრისას განგვიცხადა, მისი უცხოეთში წასვლის ერთ-ერთი მიზეზი მუსიკალური ბრაილის

შესწავლის სურვილი იყო, რაც სამშობლოში ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია: „ჩასვლისთანავე დავინწყე მისი შესწავლა და როდესაც მე თავად შევძელი უკვე ნოტების წერა-კითხვა ბრაილის შრიფტით, გადავწყვიტე თავად შემედეგინა მუსიკალური ბრაილის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ასეთი ტიპის სახელმძღვანელოები უცხო ენებზე არსებობს, თუმცა ეს საქართველოში ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი. ამდენად, შევადგინე სახელმძღვანელო, ვეცადე, რომ ყოფილიყო სრულყოფილი არამარტო პიანისტებისთვის იმიტომ, რომ არის განსხვავებები ვოკალის, საგუნდოს, საორკესტროსა და საფორტეპიანო მუსიკაში. არის ბევრი სხვაობა სიმბოლოებსა და ნიშნებს შორის და თუკი არ იცი ეს ყველაფერი, ვერ შეძლებ ყველანაირი ნოტის წაკითხვას, იქნება ეს საფორტიანო, პარტიტურა თუ სხვა. მე ვეცადე, რომ ეს სახელმძღვანელო ყოფილიყო სრულყოფილი და მე მგონი, საწყის ეტაპზე არის კიდევაც“. ნიგნი საპატრიარქოს ფონდის დაფინანსებით, გასულ წელს გამოიცა ორ კომპლექტად, ერთი შავ-თეთრი ნაბეჭდი და მეორე-ბრაილის შრიფტით. უკვე შესაძლებელია, რომ უსინათლო მოსწავლეებმაც ისწავლონ ნოტის წერა-კითხვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. მარიამი გვიამბობს, რომ ა.შ.შ-ში საერთოდ სხვა პირობებია შექმნილი და სხვა დამოკიდებულებაა ამ ადამიანების მიმართ: „როგორც აღვნიშნე, ამ კონცერტისთვის სტუმრად გვყავდა უსინათლო ადამიანები და ერთ-ერთი მათგანი, ესპანელი პიანისტი, რომელიც ნიუ-იორკიდან გახლდათ მეგზური ძალღიჯით ჩამოსული, არცერთ დაწესებულებაში, არცერთ რესტორანში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მეტროში, ტრანსპორტში, არ შეუშვეს“.



კონცერტის საორგანიზაციო ჯგუფში, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთი წარმატებული ქართველი პიანისტი, ზურაბ კობახიძეა. დაიანა შორისა და სხვა ვარსკვლავების თბილისის საქ-



ველმოქმედო კონცერტზე ჩამოსვლა, სწორედ მისი ძალისხმევით მოხერხდა. ზურას სამუსიკო კარიერა ჯერ კიდევ თბილისში, 128-ე საშუალო სკოლაში სწავლისას დაწყებულა, როდესაც მუსიკის მასწავლებელს სასკოლო სტუდიისთვის ბავშვების შესარჩევად კლასში შეუხედავს. ნიჭიერთა ათწლედის დამთავრების შემდეგ, 2010 წელს მან მისაღები გამოცდები ბოსტონის კონსერვატორიაში ჩააბარა. ის ამ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პირველი ქართველი სტუდენტი იყო. მან მიიღო ბენჟამენ კასერის ოთხწლიანი სტიპენდია სრული დაფინანსებით. ეს კი სტუდენტისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სტიპენდიაა 140-150 ათასი დოლარით, რაც სტუდენტს ბაკალავრიატის დასასრულებლად გადაეცემა. საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულმა „ცოდნის კარმა“ ზურას მთლიანად დაუფარა საცხოვრებელი ხარჯები: „ძალიან გამიმართლა და ხელი შემინყო როგორც საქართველომ, ასევე, ამერიკამ, რომ მიმეღო ასეთი მაღალი ხარისხის განათლება აშშ-ში. პირველ წელს მოვიგე სკოლის საუკეთესო პიანისტის ტიტული, მეორე-მესამე წელს მოვიგე საუკეთესო ბაკალავრი პიანისტის ნოდება. ძალიან საინტერესო რამ მოხდა: იქ იყო ძალიან პრესტიჟული დევისის ფონდი, რომელიც აშშ-ში რამოდენიმე სკოლას აფინანსებს. მათ შორისაა ჰარვარდი, იელი, სტენდფორდი, კოლუმბია. ჩემი სკოლაც იყო ამ სკოლათა შორის და ჩემმა 2-კაცისანმა ჯგუფმა, რომელშიც იყო სამხრეთამერიკელი და მეორე-ევროპელი სტუდენტი, გავაკეთეთ პროექტი და ზედიზედ ორჯერ, სკოლის ისტორიაში უპრეცედენტოდ მოვიგეთ 10 000 დოლარი გრანტი“. როგორც ზურა ამბობს, დღევანდელ დღეს მუსიკოსისთვის მხოლოდ დაკვრა არაა საკმარისი. ამერიკაში გატარებულმა წლებმა მას დიდი გამოცდილება შესძინა: „ჯულიარდი არის აშშ-ში ყველაზე პრესტიჟული სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებელი. მისი კურსდამთავრებულები არიან ქვეინ სფეისი, რობინ უილიამსი, ვან კლიბერნი, ვიოლა დევისი და ა.შ. მსოფლიოში თუ პირველი არა,

ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სახელოვნებო სკოლაა. იქ აპლიკანტების მხოლოდ 4%-ს იღებენ. მე სტუდიაში გავაკეთე მაღალპროფესიონალური ჩანაწერები, გავგზავნე და გავიარე კონკურსი, მიმიწვიეს მოსმენაზე, ეს იყო 2014 წლის მარტში, მაშინ ბოსტონში სწავლას ვამთავრებდი და გავიარე ძალიან სტრესული გამოცდები. მომივიდა მონვევა, რაც ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული იყო. დიდი გამოწვევაა, სწავლა კი ძალიან რთულია“, გვიამბობს 25 წლის ქარველი სტუდენტი, რომელიც მალე კოლუმბიის უნივერსიტეტშიც, პარალელურ რეჟიმში დაიწყებს სწავლას: „კოლუმბიის უნივერსიტეტში დავიწყებ და ვაპირებ ბიზნესის მენეჯმენტის, მუსიკის ბიზნესის კლასების აღებას და მინდა დავეუფლო ამ სხვადასხვა პროფესიას, მათ შორის საპროდიუსერო საქმეს. ამ კონტექსტში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა 30 მაისს“. ზურა გვიამბობს, რომ ფონდთან და თავის მეგობრებთან ურთიერთობის განწყვეტას არ აპირებს და პირიქით, მათთან ერთად ეცდება, რომ ამ ტიპის საქველმოქმედო საღამოების გამართვა თბილისში ტრადიციად დამკვიდრდეს: „კონცერტის პათოსიც ის იყო, რომ გვეჩვენებინა ქართველი საზოგადოებისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ძალიან ბევრის მიღწევა. დაიანა შორი იყო ამის ცალსახა მაგალითი“. რაც შეეხება ზურას სამომავლო გეგმებს, მისი უმთავრესი პრიორიტეტი ამ ეტაპზე, მომავალი ერთი წლის განმავლობაში ჯულიარდის დამთავრებაა: „ახლა დამემატა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროგრამაც, და ძირითადად მასზე ვიქნები ფოკუსირებული.



ფონდთან გავაგრძელებ თანამშრომლობას, რათა, როგორც ეს ადრე იყო, უცხოელებთან მოლაპარაკების წარმოება მოხერხდეს შემდგომი ურთიერთობისთვის. მომავალი 1 წელი ჯულიარდსა და კოლუმბიას უკავშირდება. შემდეგ, რა თქმა უნდა ფესტივალები, კონკურსები და კონცერტებია დაგეგმილი“, ამბობს ზურა და მომავალი შეხვედრის იმედით გვემშვიდობება.

ჩემი სოფლის ისტორია

თეიმურაზ მიქიაშვილი




მე წარმოშობით რაჭველი გახლავართ, ქვემო რაჭიდან, სოფელი მოტყიარია ჩემი წინაპრის კუთხე-კუჩქული. მაგრამ რაც თავი მახსოვს, ჩემი ცნობიერება ქვემო ქართლში, თბილისიდან სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრით დაშორებულ კოპნია სოფელ ასურეთთან არის დაკავშირებული. აქ დავიბადე, აქ ავიდგი ფეხი და დავვაჟკაცდი. ეს სოფელი თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის იმ ადგილებში მდებარეობს, სადაც ყოველი მტკაველი მინა ქართველი კაცის სისხლითაა გაპოხილი. აქ ჩვენმა ერმა მრავალი ბრძოლა თუ ომი გადაიტანა, აქვე ახლოსაა მარაბდის ველი, ჩხიკვათა, სამშვილდე, დიდგორი . . . აქედან უტევდა ჩვენს ქვეყანას სპარსი თუ თურქი,

ყოველი ჯურის გადამთიელი და აქვე პოულობდა სამუდამო სამარეს. ამ უთანასწორო ბრძოლებს შეეწირა სამშობლოსათვის თავდადებული მრავალი ქართველი ვაჟკაცი, მრავალი სოფელი, ოჯახი და გვარი. გაპარტახდა და გავერანდა საქართველოს ეს გაუტეხელი გოდოლი. მიუხედავად ამისა მუდამ ბრძოლისათვის მზადმყოფ და ქვეყნის გადარჩენისთვის მებრძოლ მხარეში დაიბადა უკვდავი ლექსი „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი . . .“,

ფასდაუდებელი ისტორიის მატარებელია ეს მხარე. მაგრამ სანამ „კიდევ დაიზრდებოდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი“ დრო იყო საჭირო, დრო ბრძოლების შემდეგ ამოსუნთქვისა, დრო შრომისა და ნანგრევებიდან ქვეყნის აშენების და მხრებში გაშლისა, მაგრამ ვინ გაცლიდა. ჩვენს მტერს და დუშმანს არ ეძინა, ყველაფერს აკეთებდა ქართველთა სამუდამოდ წელში გასატეხად, ამის შესახებ კარგად გვიამბობს 2003 წელს გამოცემული წიგნი „ალგეთის ხეობა“. მეც ეს წიგნი მოვიმარჯვე და ვეცადე ამ ისტორიული წყაროების გამოყენებით ჩემი სოფლის, ასურეთის და ზოგადად ქვემო ქართლის ამ მხარის ისტორია შემეხსენებინა საზოგადოებისათვის.

ჩამოსახლებები ქვემო ქართლში

მტრებისაგან იავარქმნილ სოფლებისა და გაპარტახებულ ადგილებში ხალხის ჩამოსახლების შედეგად წარმოიშვა ახალი სოფლები, ახალი სახელოდელები. მაგალითად, სოფელი ზემო და ქვემო ახკალაფა, ნავთიანი, პატარა კლდეისი, ზემო ახალშენი, პატარა ირაგა, ალექსეევკა, ივანოვკა, ახალი მარაბდა და სხვა. დანგრეული სოფლებიდან გახიზნული მოსახლეობის ნაწილმა თავიანთ ნასოფლარებში დაბრუნება დაიწყო XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან. დაბრუნებულ ქართველებთან ერთად იქ სახლდებოდნენ საქართველოში წინათ შემოხიზნებული სომხებიც, უფრო გვიან კი ჩამოსახლდნენ გუდამაყრელი მთიელები. მთიულები ვერის, ანუ სკვირეთის ხეობის გაყოლებაზე სახლდებოდნენ. ამ ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილს დასახლებული აქვს შემდეგი სოფლები: აკურისი, ბეთანია, ნახშირის გორი, წყრულეთი, ღვევი, წვერი, ვანეთი, დრე, შავთა. ბოლო დრომდე ვერის ხეობაში შედიოდა: ბაგები, წყნეთი, მსხალდიდი, ახალდაბა, ბეთანია, კვერეთი (კვესეთი), ორბეთი, მამისადაბა, პანტიანი, ახალი ზირბითი, ძველი ზირბითი, ლასტის ციხე. ამ სოფლებიდან ზოგიერთი ისტორიის კუთვნილებად იქცა. ვერის ხეობის სათავიდან წყნე-



გაგრძელება →

თამდე თავდაპირველი მოსახლეობა აღარ ჩანს. სავარაუდოა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ერთი ნაწილი ამოწყდა, დანარჩენი კი საიმედო ადგილებში გადასახლდა. თეთრინყაროს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში: შამთაში, ლვევში, ვანათში, დრეში, წვერში, წყრულეთში, ზირბითში, ორბეთში ძირითად მოსახლეობას შეადგენენ ფშავ-ხევსურეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებული მთიელები და თითო-ოროლა ქართლის სოფლებიდან გადმოსული ოჯახები. ორბეთში კი მათთან ერთად ცხოვრობდნენ XIX საუკუნეში ჩამოსახლებული რუსები, დღეს ამ სოფელში მცხოვრები წიკლაურები და ბექაურები თავს გუდამაყრის სოფელ მაქართიდან მოსულებად თვლიან და პირიმზისა და ფუძის ანგელოზის ყმებად აცხადებენ თავს. ამავე ხეობაში მცხოვრები გიგაურები ბლოდან არიან ჩამოსახლებული, მათი სალოცავი კი მუხის გიორგია. ისე ყველა ხევსური გუდანის ხატისა და ჯვარის ყმაა. გუდანის ხატსა და ჯვარზე ასე ლოცულობენ: „ღმერთო გაუმარჯვე მარსიანულ მარისისა, ომიანობისა და ლაშქრობის ძლიერ ღვთაებისა გუდანის ხატისა, ხევსურთა ლაშქრის წინამძღოლსა გუდანის ჯვარსა, მის მარისულ დროშას ბარაყსა,“.

ამავე ხეობაში მცხოვრები აფციაურები გუდამაყრიდან გადმოსულებად და სოფელ ცხვედიანის მკვიდრებად თვლიან თავს. ჩოხელები ჩოხიდან, ხოლო ბურდულები მლეითიდან ნამოსულებად ითვლებიან. ამ კუთხეში მთიელთა გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი მინის ნაკლებობა და ცარიზმის აუტანელი პოლიტიკა იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ფართო მასშტაბით დაიწყო სამხედრო გზის შეკეთება და გაფართოება, რაც მძიმე ტვირთად დაანვა დარიალისა და არაგვის ხეობის მოსახლეობის (მთიელებს). ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, მინის უკმარისობამ, არაადამიანურმა მოპყრობამ აიძულა მთიელი ხალხი მიეტოვებინათ მამა-პაპის მიწა-წყალი და სხვაგან გადახვეწილიყვნენ.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე მეფის მთავრობამ დაიწყო საქართველოში უცხო ხალხის გადმოსახლება. ეს პროცესი გრძელდებოდა თითქმის 1914 წლამდე. ამის შედეგად თეთრინყაროს რაიონის ტერიტორიაზე მრავლად იქნა დასახლებული სხვა ეროვნების ხალხი. საქართველოს რაიონებს შორის არსად ისე მრავლად არ გვხვდება ჩამოსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხი, როგორც თეთრინყაროს რაიონში.



გერმანელების ჩამოსახლება

საქართველოში 1818 წლიდან დაიწყო გერმანელების ჩამოსახლება. გერმანელთა ჩამოსახლების აუცილებლობა გენერალმა ა. ერმოლოვმა ასეთნაირად „დაასაბუთა,“: „ქართველებს მეურნეობის გაძღოლის უნარი არ შესწევთ და არიქა, „ოცდაათი გვარისგან,“ შემდგარი გერმანული ოჯახი ჩამომოსახლეთო,“ სწორედ ამას აუწყებდა იმპერატორის ქვეშევრდომს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველ კოზიდავლოვს გაგზავნილ მიმართვაში (N 24, 1816 წლის 31 დეკემბერი). სინამდვილეში ეს ხრიკი საქართველოს კოლონიზაციას ისახავდა მიზნად. ჯერ კიდევ 1801 წელს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I საქარველოში რუსი ჯარების სარდალ გენერალ-ლეიტენანტ კ.თ. კნორინგისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში საზღვარგარეთიდან უპირატესად ქრისტიანი კოლონიზატორების მოზიდვას,“. თავის მხრივ, როგორც რუსები, ისე გერმანიაში შერჩეული „აგიტატორები,“ საქართველოში წამოსასვლელად აგულიანებდნენ შოტლანდიის კოლონიის გერმანულ ოჯახებს. მათ საქართველოს ედემის ბალნარად უხატავდნენ, ჩასჩირინებდნენ - უარი არ ეთქვათ ბუნებრივად მდიდარ მხარეზე, სადაც შრომითა და გარჯით შეეძლოთ ფუფუნებაში ეცხოვრათ. ასეთ აგიტაციას შედეგიც მოჰყვა: ვიტენბერგისა და ბადენის სამეფოდან ქ. ოდესაში, ხოლო იქიდან თბილისში ჩამოსახლებული იქნა გერმანელთა 455 ოჯახი. აქედან გერმანელთა ერთი ჯგუფი - 65 ოჯახი 307 სულით, მდინარე ასურეთის პირას, უკაცრიელ, იავარქმნილ სოფელ ასურეთის ტერიტორიაზე დასახლდა და ამ ადგილას ელისაბედტალი ეწოდა (კოლონია 19 ნოემბერს მოსულა აქ, ამ დღეს კი კალენდარი ელისაბედის სახელს მოიხსენიებდა). დიდი სამამულო ომის წინ, გერმანელების გასახლების შემდეგ, ამ სოფელში რაჭველები ჩამოსახლდნენ და კვლავ აღსდგა სახელი ასურეთი. ასურეთის სახელის წარმოშობის შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს. - უძველეს დროს ამ სოფელში მეთუნეობა ძალიან იყო განვითარებული. სხვა კერამიკულ საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთებთან ერთად ასობით სურებს ამზადებდნენ. ამავე დროს ამ სოფელში თურმე საბაჟოც ფუნქციონირებდა და აქეთკენ მომავალ ქარავენებს გზა რომ გაეკვლიათ ეუბნებოდნენ - იმ სოფელში უნდა გაიაროთ, სადაც ასობით სურებს ამზადებენო. ასე დაერქვა ასურეთი. ვერ გეტყვით რამდენად მართალია, მაგრამ ძალიან ლამაზი ლეგენდაა და კიდევ უხდება ჩემს სოფელს.

ასურეთში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტების თითოეულ ოჯახს 60-60 ჰექტარი მიწა გამოუყვეს. (ნეტავ მათ, როგორ თავდადებით ზრუნავდნენ მათზე!) დასასახლებლად და მეურნეობის მოსაწყობად. მეფის მთავრობა მათ უხვად აძლევდა სამშენებლო მასალას, ფულს სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და პირუტყვის შესაძენად, სათესლე მასალას და ასე შემდეგ. საცხოვრებელი

სახლების აშენებაში გერმანელებს მთავრობა უფასოდ ეხმარებოდა სამხედრო მშენებელი ჯარისკაცებით, ხოლო საშენი მასალის ურმებით მოზიდვა და პირველ წლებში მათი მიწების მოხვნა, მთავრობის დავალებით, მეზობელი სოფლების მკვიდრთა მიერ უფასოდ სრულდებოდა. მეფის მთავრობამ უხვად მოხსნა ქისას პირი. თითოეულ ოჯახზე დახმარების სახით გაიცა 2800 მანეთი. სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს მისცეს 25 მანეთი, ხოლო ოსმალეთიდან მოსულ ბერძნებს 10 მანეთი. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთ სესხი მთლიანად დააფარვინეს, გერმანელებს კი აპატიეს. შედავათებითა და ყურადღებით განებივრებული გერმანელები სწრაფად გამრავლდნენ და 1886 წლისთვის კომლთა რაოდენობამ 650-ს მიაღწია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 2440-ით გაიზარდა, რის გამოც ნაწილი კოლონისტებისა ასურეთიდან იქვე სოფელ მარაბდის გვერდით გადმოსახლდა და მას ახალი მარაბდა დაერქვა. შემდეგში სოფელ ასურეთიდან გერმანელთა ნაწილი სოფელ მარაბდის პირდაპირ მდინარე ალგეთის გაღმა მტრების მიერ განადგურებულ ქართულ ნასოფლარს ქოთიში გადასახლდა, სადაც მაშინ ქართველთაგან აღარავინ ცხოვრობდა. მეფის მთავრობის მესვეურები ამტკიცებდნენ, რომ ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტებისაგან ქართველი გლეხები ისწავლიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოებასო, მაგრამ როგორც შემდეგში გამოიკვია, პირიქით, თვით კოლონისტებს ბევრი რამ უსწავლიათ მკვიდრი მაცხოვრებლებისაგან. გერმანელთა საქართველოში ჩამოსახლებიდან 25 წლის შემდეგ გერმანელი ბარონი პაქსტ ჰაუზენი, რომელსაც 1843 წელს უმოგზაურია საქართველოში, წერდა: „ჩემდა განსაცვიფრებლად მე ვნახე, რომ კოლონისტებს გადაუღიათ პურის ლენვის ქართული წესი,“ (იხ. პაატა გუგუშვილი, „საქართველოს ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX სს„ტ. I. გვ. 498, სახელგამი, 1949წ.) გერმანელმა კოლონისტებმა თუ რამე ახალი შემოიტანეს, ეს იყო მხოლოდ ცხენების გუთანში შებმა- გვაუნყებს ჟურნალი „მოამბე,“ (1899 წ. N4, „უცხოელების დაბინავება საქართველოში,“).

რაჭველების ჩამოსახლება ასურეთში

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა საბჭოთა კავშირს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანია, როგორც არასაიმედო ხალხი, აღნიშნული წლის ივლის-აგვისტოში თეთრი წყაროს რაიონის სოფლების, ასურეთის, მარაბდისა და ქოთიშის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები ხელისუფლების მიერ გადასახლებული იქნა შუა აზიაში.

სოფელ ასურეთში გერმანელების ნაცხოვრებელ ტერიტორიაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რაჭველები, როგორც ყოველმხრივ სანდო და დასაყრდენი ხალხი ჩამოესახლებინა.

რაჭველთა აღნიშნულ ტერიტორიაზე გადმოსახლების გადაწყვეტილების მიღება იმანაც განაპირობა, რომ რაჭა სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდა.

გაეცნო რა ამბროლაურის რაიონის ხელმძღვა-



ნელობა მთავრობის გადაწყვეტილებას, სპეციალური კომისია გამოგზავნა სოფელ ასურეთის ადგილმდებარეობისა და ცხოვრების პირობების შესასწავლად. წარმოგზავნილ კომისიას მოენონა სოფლის მდებარეობა და მისი საყოფაცხოვრებო პირობები და კარგი შთაბეჭდილებით დაბრუნდა უკან. კომისიის წევრები შეხვდნენ მოსახლეობას და გაუზიარეს შთაბეჭდილება ახალი საცხოვრებელი ადგილის ავ-კარგის შესახებ.

შედა იმ ოჯახთა სიები, რომელთაც სურდათ მუდმივ საცხოვრებლად სოფელ ასურეთში გამგზავრება. ჩამოსახლებას ხელმძღვანელობდა ამბროლაურის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე სიმონ ლაშხი. ტრანსპორტის სიმცირის გამო აღნიშნული რაიონის სოფლებიდან ოჯახები ცალ-ცალკე ჩამოყავდათ. პირველად სოფელ ასურეთის მიწაზე ფეხი დადგეს ნიკორწმინდის, ხოტევის, ზნაკის, კაჩათის, ჭელიაღელის წარმომადგენლობამ, ჩამოვიდნენ გოცირიძეები, შარაბიძეები, კობახიძეები, მიქიაშვილები, ენუქიძეები, ჭელიძეები, დვალეები, ბაკურაძეები და სხვები. ზემო აღნიშნულ გვარებს შეემატნენ გეგეშიძეები, წერეთლები, ჯმუხაძეები, ლაიშვილები და სხვები.

დეკემბრის თვეში დამთავრდა აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჩამოსახლება. სულ ჩამოსახლდა 99 ოჯახი 270-ზე მეტი სულით.

სოფელ ასურეთში აღსდგა კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ამბროლაურის რაიონის ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე სიმონ დავითის-ძე ლაშხი.

შეიქმნა სასოფლო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს გამოცდილი მუშაკი ვიქტორ ნასარიძე.

სოფელ ასურეთის ტერიტორიაზე მეორედ 1957 წელს მოხდა ქლუხორიდან რაჭველების ჩამოსახლება, ეს ის რაჭველები არიან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ზემო რაჭიდან, სოფელ ღებიდან, უნერიდან, ნაკიეთიდან და ჭიორიდან ჩაასახლეს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში, საიდანაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის ადგილობრივი მოსახლეობა (ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები) გადაასახლეს შუა აზიაში.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ზემოთ დასახლებული ტერიტორია, ეგრეთ წოდებული ჯიქეთი, წინათ საქართველოსი ყოფილა, სადაც ცხოვრობდა ქართველური მოდგმის ქრისტიანი ხალხი. ქლუხორის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიას იქ მაცხოვრებელი მუსულმანებიც თამარის ეკლესიას ეძახდნენ და რადგან განთავისუფლდა საქართველოს ყოფილი ტერიტორია, იმ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაასახლა ზემო რაჭველები.

1957 წელს, ხრუშჩოვის მოღვაწეობის პერიოდში, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შუა აზიაში გადასახლებული ყარაჩაელების უკან დაბრუნების შესახებ. ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი. ამიტომ აღნიშნულ ოლქში 1941 წელს ჩასახლებული რაჭველები აყარეს და 1957 წელს საქართველოში, თეთრწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში გადმოასახლეს, 42 ოჯახი 153 სულით. (ზ. გიგაური, დ. ბეჟუაშვილი)

როგორც ამ მხარის ტრადიციებს შეფერის, არც ჩემი სოფლელები ჩამორჩებიან სამშობლოსთვის თავდადებაში. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო,



თითქმის ყველა ახალგაზრდამ იარაღი აისხა და სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში ჩაება. ამ სოფლიდან 14 ვაჟკაცმა დადო თავი სამშობლოსათვის. ეს დანაკლისი დღესაც ვერ მოუხელებია ჩემს სოფელს. შეხვალთ თუ არა ასურეთში ამ გზაშარას 14 თავდადებული ვაჟკაცის სახელი ჰქვია და ამით ახსენებს ყველას, რომ არავინ არ არის დავიწყებული. სოფელი თავის გულში ატარებს თითოეული მათგანის ხსოვნას.

აი, ასეთია მოკლედ ჩემი სოფლის ისტორია. აღარ ვყვები იმას, თუ რამდენი სახელოვანი აღამიანი აღზარდა ჩემმა სოფელმა. . . ახლა ასურეთი თეთრწყაროს რაიონის სხვა სოფლებთან ერთად ჩაბმულია ახლი საქართველოს აღორძინების საქმეში. ამ რაიონის მრავალეროვან მოსახლეობასთან ერთად ჩემი სოფლელები, რაჭველებიც მუხლჩაუხრელად იღვნიან.

მასალა აღებულია ნიგნიდან - „ალგეთის ხეობა“, 2003 წ.

აღამიანის უფლებები

შუბ პირეაჲა საქართველოს პარლამენტს სასამართლო დავა მოუხაჲს

ოთხი წლის წინ, მაია ასაკაშვილმა, შუბ პირეების მშობლების სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის ხელმძღვანელმა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის შვილი - 28 წლის ქემოკლიძე ირაკლი ყავს, გადანვიტა ირაკლის უფლებებისთვის ებრძოლა. და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2014 წლის 8 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები -ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოსარჩელები წარმოადგენდნენ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების გამო ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა რიგი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებისა და ქმედუუნარო პირებთან დაკავშირებულ მრავალმხრივორთიერ-

ობებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ქმედუუნარიანობის ინსტიტუტი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე, უკრძალავდა ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელებას. ამგვარი შეზღუდვებით პირს საფუძველშივე ესპობოდა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან. ქმედუუნარო პირებს ეკრძალებოდათ ისეთი მარტივი, წვრილმანი გარიგებების დადებაც კი, როგორცაა საკვების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ სამგზავრო ბილეთების შექენა. სასამართლომ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების უნ-

არები ინდივიდუალურია. „სულით ავადმყოფობისა“ და „ჭკუასუსტობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში ჰქონდეთ ნების გამოვლენის უნარი, რაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ყოველი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა უნიკალურია და აუცილებელია არსებობდეს დიფერენცირებული მიდგომა გარიგებების სირთულისა და პირთა გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. პირზე მზრუნველობის ინტერესებსა და მის პირად ავტონომიას შორის ბალანსის დადგენის მიზნით, აუცილებელია, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეიზღუდოს იმდენად, რამდენადაც ამის საჭიროება არსებობს გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხიდან გამომდინარე. კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პირის ქმედუუნაროდ ცნობის კრიტერიუმებს. ქმედუუნაროდ აღიარების საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა გამოირჩეოდეს საკმარისი სიცხადით, რათა ზუსტად ასახავდეს პირის საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე მორგებული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას ქმნიდეს. არსებული კანონმდებლობა აბსოლუტურად ყოველგვარი გრადაციისა და დიფერენცირების გარეშე ზღუდავდა ქმედუუნარო პირთა უფლებებს. ასევე არ იყო გათვალისწინებული მეურვის მხრიდან ნების ფორმირებაში დახმარებისა და ქმედუუნარო პირის ნების გათვალისწინების შესაძლებლობა. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ არათანაზომიერად იზღუდებოდა კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

სარჩელს აწარმოებდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), მათ წერტილი დაუსვეს ქმედუუნარობის ზომაზე მეტად შემზღუდველი მოდელის არსებობას, რაც საქართველომ 1997 წელს (ამ პერიოდში მიიღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი) მემკვიდრეობით საბჭოთა კანონმდებლობისაგან მიიღო. ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმყარა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დამცველი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის რეპუტაცია.

„მრავალი თაობის იურისტისათვის დღემდე თითქმის დოგმატურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ გონებრივი ჩამორჩენილობისა (1997 წლის სამოქალაქო კოდექსი ამ კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს დამაკნინებელი ტერმინით - „ჭკუასუსტით“ მოიხსენიებს) და ფსიქიკური აშლილობის (სამოქალაქო კოდექსის მამებმა ამას „სულით ავადმყოფობა“ უწოდებს) საფუძველზე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი კარგავს თავისი ყველა უფლების (საკუთრება, მემკვიდრეობა და სხვა) დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი ადამიანის ყველა უფლებას მისი მეურვე ახორციელებს. ქართული მოდელის აბსურდულობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ქმედუუნარო ადამიანს ეკრძალებოდა მაგა-

ლითად, მაღაზიაში შეეძინა 50 თეთრად ღირებულ პური, ეყიდა 1 ლარის ღირებულების შოკოლადი ან მონაწილეობა მიეღო ამგვარ წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებებში. მეურვე წყვეტდა საკითხს იმის თაობაზე, ქმედუუნაროდ აღიარებული პირი იქნებოდა სახლში ჩაკეტილი თუ ექნებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა. მეურვე და მკურნალი ექიმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არაფერს კითხავდნენ, ისე გადაწყვეტდნენ მის ფსიქიატრიულ ან სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებას. იყო შემთხვევები, როდესაც მეურვეები არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ მათ უფლებამოსილებას და ქმედუუნარო ადამიანების ქონებას ფლანგავდნენ პირადი საჭიროებისათვის. ქართული სასამართლო ისე შორსაც წავიდა, რომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ქმედუუნარო პირი ვერ დაიცავს საკუთარ ღირსებას, ვინაიდან არ შეუძლია, აღიქვას ცილისწამების და შეურაცხყოფის მნიშვნელობაო.

ასეთ დამოკიდებულებას სინამდვილეში არავითარი კავშირი არა აქვს რეალობასთან. მენტალურ შესაძლებლობებში შეზღუდული ადამიანები ქმედუუნარიანობის დაკარგვის მიუხედავად ინარჩუნებენ ადამიანურ გრძნობებს და ნამდვილად შეუძლიათ იმის აღქმა, გარშემო მყოფი პირები კეთილგანწყობილნი არიან თუ არა მათ მიმართ. მენტალური პრობლემების მქონე ადამიანები არ კარგავენ ყველა უნარებს. ბევრ მათგანს, თუ ისინი საკუთარ თავში ჩაკეტილნი არ არიან, ნამდვილად შეუძლია, მაღაზიაში შეიძინოს საჭირო პროდუქტები და აფთიაქში ექიმის მიერ მათთვის გამოწერილი წამალიც კი. შეიძლება ასეთ ადამიანს არ შეეძლოს, შპს მართვა, მრავალმილიონიანი გარიგების დადებაში დამოუკიდებლად მონაწილეობა, მაგრამ მას ნამდვილად სტკივა, როცა ვინმე შეურაცხყოფას აყენებს და უნდა ჰქონდეს პოლიციასთან ან სასამართლოსთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა მეურვესთან ერთად ან თუნდაც მის გარეშეც. საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებდა იმას, რომ ქმედუუნარო ადამიანს გარკვეული უნარები მაინც ჰქონდა შენარჩუნებული. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიერ არ ხდებოდა იმის შეფასება თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რა სფეროში აქვს ადამიანს დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა, სად საჭიროებს ის სხვა ადამიანის რჩევის მიხედვით საქმიანობას და სად უნდა მომხდარიყო ქმედუუნარო ადამიანის მეურვეთ ჩანაცვლება. თუკი დადგინდებოდა, რომ ადამიანს მაგალითად, არ ჰქონდა შპს-ს დირექტორობის უნარი, ის კარგავდა მაღაზიაში პურის ყიდვის უფლებასაც.“ - ამბობს საიას იურისტი გიორგი გოცირიძე.

პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ ცვლილებათა პროექტს, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ სამოქალაქო კოდექსში არსებული მიდგომა იცვლება.

პარლამენტს დაევალა, აღნიშნული რეგულა-

ციები შესაბამისობაში მოიყვანოს, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ პრინციპულად უარყოფს ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას. კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნებით, მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო, ადამიანისთვის არათუ ქმედუნარიანობის ჩამორთმევა, არამედ ქმედუნარიანობის შეზღუდვაც კონვენციით დადგენილი მაღალი სტანდარტების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტერმინ ქმედუნაროს ნაცვლად სამოქალაქო კოდექსში შემოდის ცნება, „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდამჭერის მიმღები). დაგვემილი ცვლილებების თანახმად, „მხარდამჭერის მიმღები“ პირი მიიჩნევა ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება, სასამართლომ დაუნიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირად მიჩნევა მოხდება ინდივიდუალური შეფასების მიხედვით, რომელიც არ დაეფუძნება მხოლოდ სამედიცინო მოდელს და მასში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს სოციალური შეფასების სისტემა.

ინდივიდუალური შეფასებისა და სოციალური მოდელის ასახვის მიზნით, ექსპერტიზის დასკვნას გასცემს მულტიდისციპლინარული გუნდი.

1 მაისამდე კი ჯანდაცვის სამინისტრო ვალდებული იქნება, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წესი და სტანდარტები.

„უნდა მოხდეს მეურვის ინსტიტუტის ხელახალი გააზრება. შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ კონვენციის თანახმად, მეურვე უნდა იყოს ქმედუნარო ადამიანის დამხმარე და არა მისი სუროგატი. თუკი მაგალითად, მენტალური პრობლემების მქონე პირის პატივს და ღირსებას შელახავენ, მეურვემ კი არ უნდა გადაწყვიტოს, უჩივლებს თუ არა ცილსმწამებელს სასამართლოში, არამედ თავად ქმედუნარო ადამიანიც უნდა წყვეტდეს ამას, ხოლო მეურვე საჭირო რჩევებს უნდა აძლევდეს და ეხმარებოდეს სამეურვეო პირს ადვოკატთან თუ სასამართლოსთან კომუნიკაციისას. წარმოვიდგინოთ შემთხვევა, ქმედუნარო ადამიანმა დაძლია მენტალური პრობლემები, როგორ უნდა მოხდეს მისი ქმედუნარობის აღდგენა? საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული ნორმა მეურვეს და არა თავად ქმედუნარო ადამიანს ანიჭებდა სასამართლოსათვის მიმართვის და ქმედუნარიანობის აღდგენის უფლებას. ახლა მეორე შემთხვევა წარმოვიდგინოთ, მეურვე, ხშირად საკუთარი და არა სამეურვეო პირის ინტერესების გათვალისწინებით სარგებლობს მდიდარი ქმედუნარო პირის სახლით, ფულადი ანგარიშებით, გაუჩნდება კი ას-

ეთ მეურვეს სამეურვეო პირის ქმედუნარიანობაში აღდგენის და პირადი კეთილდღეობის დაკარგვის სურვილი? რა თქმა უნდა არა. მეურვის სურვილის გარეშე გამოჯანმრთელებული ადამიანი სამუდამოდ რჩება ქმედუნარო. სწორედ, ეს ნორმა სცნო არაკონსტიტუციურად გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქორწინების უფლება. ქართული კანონმდებლობით ქმედუნარო ადამიანს დაქორწინების უფლება მეურვის თანხმობითაც კი არ ჰქონდა. ქორწინების უფლების აკრძალვა იმდენად აბსურდულია, რომ ფაქტობრივად უთანაბრდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის სექსუალური ქცევის რეგულირებას. ისტორიული მაგალითებიც ადასტურებს იმას, რომ მენტალური პრობლემები გავლენას არ ახდენენ ადამიანის სექსუალურ და პროკრეაციულ აქტივობაზე. ამიტომ ქორწინების უფლებასთან დაკავშირებული ამ ასპექტის შეზღუდვა საკმაოდ შორსმიმავალია. ქორწინების უფლებას გააჩნია სხვა ასპექტიც, ეს არის შვილის აღზრდის და საოჯახო ქონების მართვა-განკარგვის ასპექტები. ფსიქიკური პრობლემების მქონე მშობელი შესაძლოა ბავშვისათვის საშიში იყოს და ამიტომ აუცილებელიც გახდეს ასეთი მშობლის უფლების შეზღუდვა. მიუხედავად ამისა, ფსიქიკური აშლილობა არ უნდა იყოს საბოლოო განაჩენი ყველა მშობლისათვის. სასამართლომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ყველა ადამიანთან მიმართებაში ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად უნდა დაადგინოს, ხომ არ უქმნის საფრთხეს ადამიანი საკუთარ არასრულწლოვან შვილებს და მშობლის უფლებაც მხოლოდ ამგვარი საფრთხის არსებობის შემთხვევაში შეზღუდოს. მენტალური პრობლემების მქონე ადამიანი, რომელიც არის კარგი მშობელი, არ უნდა იყოს ამ მნიშვნელოვან უფლებას მოკლებული მხოლოდ და მხოლოდ მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, - ამბობს საიას იურისტი გიორგი გოცირიძე.

რაც შეეხება მხარდამჭერის ვალდებულებებს, ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერი მოვალეა, თვალყური ადევნოს ასეთი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

კანონპროექტის თანახმად, მხარდამჭერს ნიშნავს სასამართლო, რომელიც ასევე განსაზღვრავს მხარდამჭერის ფარგლებს და მხარდამჭერი პირის უფლება-მოვალეობებს.

მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს ოჯახის წევრი, ნათესავი ან ახლობელი, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ასევე, მხარდამჭერის საქმიანობას ზედამხედველობას გაუწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომლის მიზანიც მხარდამჭერის ფუნქციების კონტროლი იქნება. მხარდამჭერი ვალდებული იქნება, ამ ორგანოს მოაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, შემოთავაზებულია გარდამავალი ეტაპი, რომელიც 5-წლიან პერიოდს ითვალისწინებს. შესაბამისად, 2015 წლის 1 აპრილიდან, 4 წლის განმავლობაში ქმედუნარო პირების მეურვეები ვალდებული არიან, მიმართონ სასამართლოს ინდივიდუალური შეფასებისთვის და მხარდაჭერის ხარისხის დასადგენად. „მე ჩემი შვილის მეურვე ვარ, მაგრამ მეურვე არ ნიშნავს იმას, რომ შენ ყველა უფლება წაართვა მას, ვისი მეურვეც ხარ. არ შეიძლება იმ ადამიანს არ ქონდეს არაფრის უფლება. კანონმდებლობით არსებობდა ცოცხალი ადამიანი, მაგრამ სამოქალაქო არანაირი უფლებით, ანუ ირ-

იცხებოდა მკვდრებში. არჩევნებისას ირაკლი მუდამ მეკითხებოდა - მე რატომ არ მივდივარ არჩევნებზეო და სწორედ, აქედან დავიწყეთ ბრძოლა. მასაც ხომ ყავს სასურველი კანდიდატი... ამ ადამიანებს აქვთ უფლებები და სახელმწიფო, კანონი მას ართმევდა, მათი დასაქმებაც შეიძლება, ამის ბევრი მაგალითია საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ არჩევნების უფლებაც აქვთ და სიყვარულისაც. ვის აქვს უფლება რომ მე და ჩემი შვილის ცხოვრებას წერტილი დაუსვას,“ - ამბობს მაია ასაკაშვილი.

<http://opinion.civil.ge/publications/293>

საზოგადოება

„მკიმი იყო ამ მომენტის გადალახვა“ - ვინ არის გიგო „X ფაქტორიდან“ და რას ყვიბა დედა მის შესახებ

ლალი ფაცია



მეგაშოუ „X ფაქტორში“ „დამატებით ოთახში“ ორი ახალი წამყვანი დაემატა - თათუკა ნატროშვილი და გიგო შიუკაშვილი. ამ სტატიაში ძალიან აქტიურსა და მხიარულ გიგოს გაგაცნობთ.

მას ორი დღის წინ 20 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი პირდაპირ ეთერში შესაბამისად აღინიშნა. Ambebi.ge გიგო შიუკაშვილის დედას, ინგა სარჯელაძეს ესაუბრა.

- თქვენ შვილს სერიოზული საქმე მიაჩნდვს - გრანდიოზულ შოუში თანაწამყვანია და თავისი საქციელით მაყურებელს უკვე ძალიან შეაყვარა თავი...

- გიგოს 20 წელი შეუსრულდა. განსხვავებული თარიღი იყო. წლიდან წლამდე გამორჩეულად ელოდება საკუთარ იუბილეს და უბედნიერესია ხოლ-

მე იმ დღეს, როდესაც გაჩნდა. მეც სულ ვფიქრობ, რომ მისთვის საყვარელი დღე სიურპრიზებით იყოს ხოლმე სავსე. წელსაც რაღაც განსხვავებული, ახალი მინდოდა, თან, იმასაც ვფიქრობდი, რაღა უნდა გავაკეთო, თითქმის ამოვნურე იდეები-მეთქი. ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასეთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა ამ თარიღის აღნიშვნა. ორშაბათს, პირდაპირ ეთერში, თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა, მართლა დიდი ემოციებით იყო დატვირთული და ბედნიერი...

- პროექტში როგორ მოხვდა?

- „X ფაქტორიდან“ დამირეკეს და მითხრეს, რომ სურვილი ჰქონდათ, გიგო წამყვანად მიეწვიათ, ოღონდ, ჯერ ბოლომდე არ ჰქონდათ ეს გადაწყვეტილი. შემდეგ „დამატებითი ოთახისთვის“ სინჯი ჩაინერა. მერე კი უკვე შემეხმიანნენ, - მობრძანდით, ჩვენ ვინცებთ მუშაობასო. ეს მის ცხოვრებაში ბედნიერი დღე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი 20 წელიწადია, გიგოსთან სხვადასხვა პროგრამით ვმუშაობ.

- როგორც ჩანს, დიდი შრომა გაქვთ ამ ყველაფერში ჩადებული...

- ძალიან დიდი შრომა გვაქვს ჩადებული... ახლა რომ ვიხსენებ, ბავშვობიდან, ყოველთვის მიკროფონი ეჭირა ხელში, მაშინაც კი, როცა სიარული ჯერ არ იცოდა და ფორთხავდა. სულ რაღაცებს ასახიერებდა, დიდი სურვილი ჰქონდა, მსახიობი გამოსულიყო. 2 წლის წინ კი გადაწყვიტა, რომ ჯერ-ჯერობით წამყვანობა უნდა. აქტიური ადამიანია, ყოველთვის სერიოზული გრაფიკი აქვს, - არ გვაქვს დრო, რომ რაიმეში დავკარგოთ. საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს, რამდენიმე საქმეში პარალელურად არის მუდმივად ჩართული.

12 წლისა სცენაზე იდგა. ყველაზე კარგად ეს საქმე გამოსდის. აქვს კარგი გარდასახვის უნარი და ძალიან უყვარს, ხომ გითხარით, მიკროფონი.

ასევე კამერა, ობიექტივი. ამ ყველაფერთან მშვენივრად იხსნება. მისი ოცნებაა მსახიობობა, წამყვანობა. ყველანაირად მონდომებულია, რომ ამ გზაზე არაფერმა ხელი არ შეუშალოს. დარწმუნებული ვარ, არაფერი დააბრკოლებს.

- რა დიაგნოზით დაიბადა?

- დაუნის სინდრომი... მაგრამ ჩვენ შორის ბევრი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება... ეს ყველაფერი წლების მერე მოდის... თავიდან, როცა ბავშვი ამ დიაგნოზით ჩნდება, დედას არ აქვს ამაზე ინფორმაცია. ეს პრობლემა ხომ ყველა ეტაპზე სტიგმატიზებულია და მით უფრო, ადრეულ წლებში, ნაკლებად იძლეოდნენ ამაზე ინფორმაციას

- თქვენ შემთხვევაში როგორ მოხდა?

- არ ვიცოდი, თუმცა ეჭვი მაშინვე გაჩნდა, რაც მერე ანალიზმაც დაადასტურა, რომ დაუნის სინდრომი ჰქონდა. მიძიმე იყო ამ მომენტის გადალახვა, მით უფრო, რომ სახელმწიფოსგან მხარდაჭერა არაფერი იყო. უბრალოდ, ძალიან გაგვიმართლა, რომ გიგო მოსკოვში გაჩნდა, სადაც არსებობდა ასოციაცია, ცენტრი, რომლებმაც იმ პერიოდისთვის დიდი დახმარება გაგვინიეს. აქ მაშინ მსგავსი არაფერი იყო. ახლა კიდევ რალაც ცენტრები არსებობს.

მოსკოვში კი სპეციალური ორგანიზაციები უმთავრესად მშობლებს ამზადებდნენ, რომ ბავშვებთან მუშაობა შეძლებოდათ. მერე გაგვიჩნდა პრეტენზია, რომ გიგო საქართველოში გაზრდილიყო და აქეთ წამოვედით. იქიდან მოყოლებული, დღემდე ჩემს შვილს მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს.

- როგორც ეკრანზე ვხედავთ, გიგოს ყველაფერი შესანიშნავად ესმის, ყველაფერზე ადეკვატური რეაქციები აქვს... ძირითადად, რაში მდგომარეობს მისი პრობლემა?

- ჩვენ საჯარო სკოლაში დავდივართ... საერთოდ, დიდი ბრძოლა გვინევდა და დავგჭირდა იმისთვის, რომ რაც გვეკუთვნოდა, ის მიგველო (რას ვიზამთ, ქართული საზოგადოება ნელ-ნელა ვითარდება). მოკლედ, იმას მივალნიეთ, რომ გიგო მეექვსე კლასიდან საჯარო სკოლის მოსწავლე გახდა. მანამდე ბალსა და დღის ცენტრში დადიოდა.

- საჯარო სკოლის მოსწავლე როდის გახდა?

- მაშინ, როცა ჩვენში უკვე ინკლუზია დაინერგა. გიგოს თავისი ინდივიდუალური პროგრამა და დავალებები აქვს, რასაც ისევე ამზადებს, როგორც თანაკლასელები, უბრალოდ მისი შესაფერისი პროგრამით.

- ე.ი. თავსუფლად ანგარიშობს, კითხულობს...

- რა თქმა უნდა. ახლა მეთერთმეტე კლასშია, გარკვეულ საგნებს არ გადის ისე და იმ დონეზე, როგორც მისი თანაკლასელები, მაგრამ საგნებ-

ში ინდივიდუალური პროგრამა აქვს. მისი სკოლაში სიარული მხოლოდ სოციალური ადაპტაცია არ არის. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ სოციალური ადაპტაციის გარდა, რაც გენიალურად გამოდის, არაჩვეულებრივია კლასში, სკოლაში და საერთოდ ყველაგან. მისთვის განათლების მიღებაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი და ამ მხრივაც ჩვენი მიღწევები და შედეგები გვაქვს. გიგოს გეგმაში აქვს, რომ აილოს ატესტატი, ჩააბაროს სასწავლებელში და გამოვიდეს მსახიობი.

- პრობლემები არ შეექმნება?

- აქაც პრობლემები გვაქვს, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ამ წინააღმდეგობას დაძლევეს და მაინც მიაღწევს იმას, რაც უნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი განათლების სისტემა ჩვენნაირი ახალგაზრდებისთვის 12 წლის ატესტატის გაცემას არ ითვალისწინებს. გვაქვს ინდივიდუალური პროგრამები, მაგრამ არ გვაქვს ინდივიდუალური საატესტატო გამოცდები. ამაზეც მოგვინევს მათთან ერთად მუშაობა. ალბათ დაინახავენ სიმართლეს და ამ მიმართულებით გარკვეული რეფორმები ჩატარდება.

- მეტი შვილი არ გყავთ?

- არა.

- და მთლიანად მოცული ხართ ამ ადამიანზე ზრუნვით, ხომ?

- სხვანაირად გამორიცხულია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ცხოვრების არც ერთ ეტაპზე, ისე არ ყოფილა, რომ მთელი ენერჯია მხოლოდ ამ ბავშვში ჩამედო და მეტი არაფერი მეკეთებინა. იმისთვის, რომ ბავშვი იყოს ჯანსაღი და ჯანმრთელი, გვერდით ყველანაირად რეალიზებული დედა სჭირდება. წლების განმავლობაში საჯარო სტრუქტურაში ვმუშაობ, მაქვს საკმაოდ დატვირთული სამსახური. მთავარია, მონდომება და ადამიანი ყოველთვის ყველაფერს მოასწრებს. ისე კი, ამ ძალას ეს ბავშვები თავად გაძლევენ.

- როგორც ჩანს, გიგო მუსიკალურიც არის.

- ძალიან. ამ ეტაპზე ფოლკლორმა გაიტაცა. ფანდურზე დაკვრას სწავლობს, ფოლკლორის იმპროვიზაცია იზიდავს - დოლი, ტამტამი, ფანდური. უნდა, რომ ეს ყველაფერი კარგად აითვისოს. მუსიკოსი ვალერიან შიუკაშვილი მისი ბიძაა და კლასიკური მუსიკა ფოლკლორთან ერთად მან შეაყვარა. მოკლედ, მასში ესეც აღმოჩენაა. ისე, ეს ბავშვები ყველანი ინდივიდუალურები არიან და არა ერთმანეთის მსგავსები. მხოლოდ გიგო არ არის მათ შორის გამორჩეული, ამ მიმართულებით მას საკმაოდ დიდი სამეგობრო წრე ჰყავს, დანარჩენებიც კარგები არიან, მერწმუნეთ...

AMBEBI.GE



მსგა ბუმბარია

შეზღუდული შესაძლებლობები, თუ შეზღუდული ბარემო?



მარიამ მიქიაშვილი ჩემი ყოფილი უფროსი თანასკოლელია. მე-4 კლასში რომ ვიყავი, სწორედ მაშინ გაემგზავრა მარი FLEX/მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამით აშშ-ში. შემდეგ ექსტერნითაც ჩააბარა ერთი კლასი. ყოველივე ამის გამო ის ჩემთვის მისაბაძი ადამიანი გახდა. შემდეგ მან ნორვეგიაში მოიპოვა მაგისტრის წოდება, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თბილისის 202-ე უსინათლოთა საჯარო სკოლაში მუშაობდა სპეცმასწავლებლად, სწორედ იმ სკოლაში, რომელიც ორივემ დავამთავრეთ. ამასთან დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია მარიანი. ამჟამად ის დაოჯახებულია და მუშაობს ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ში. სწორედ ყოველივე ამის გამო დავინტერესდი მისი საქმიანობითა და შეხედულებებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

მარი ამჟამად ხარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებადამცველი, მათს საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მომუშავე სამოქალაქო აქტივისტი. როდის და როგორ დაინტერესდი ამ სფეროთი და პროფესიული საქმიანობით?

სკოლის მე-12 კლასში რომ გადავედი, FLEX/Future Leaders' Exchange პროგრამით გავემგზავრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 1 წელი გავატარე. იქ ყოფნისას მე გავხდი მონმე იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ ამერიკელი უსინათლოები, რაოდენ ფართო შესაძლებლობები აქვთ, ძალიან მომიწინდა, რომ საქართველოშიც გაჩენილიყო ამგვარი შესაძლებლობები, მითუმეტეს, რომ იმდროინდელ საქართველოში ამ მხრივ საშინელი მდგომარეობა (იმდროინდელთან შედარებით ახლანდელი მდგომარეობა ოდნავ უკეთესია) იყო. თუმცა საქართველოში ჩამოსვლისას შევიტყვე, რომ აქ არ არსებობს შშმ პირებთან მუშაობის (მაგ. სპეციალური პედაგოგიკა ან სოციალური სამუშაო) შემსწავლელი/გამომკვლვეი სპეციალური საუნივერსიტეტო პროგრამა /ფაკულტეტი/ მიმართულება. შესაბამისად უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად შევარჩიე საქართველოში არსებული სასწავლო პროგრამებიდან ჩემთვის სასურველ მიმართულებასთან ყველაზე ახლოს მდგომი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულება. ჩავაბარე 2005 წელს. თსუ-ში ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სამაგისტრო განათლება გავაგრძელე ნორვეგიაში, ოსლოს უნივერსიტეტში, სპეციალური პედაგოგიკის მიმართულებით, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ უსინათლოთა, არამედ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სწავლების მეთოდებს, სტრატეგიებს, დამხმარე საშუალებებს.

დღეს თუ არსებობს შშმ პირთა განათლებისა თუ მათთან მუშაობის სხვა სფეროებში ვინრო სპეციალური საუნივერსიტეტო პროგრამები საქართველოში ან ხომ არ იგეგმება მსგავსი პროგრამების შექმნა ახლო მომავალში?

2014 წლის სექტემბერში ილიას უნივერსიტეტ-

ში გაიხსნა სამაგისტრო პროგრამა სპეციალურ პედაგოგიკაში. მსგავსი პროგრამების გახსნა იგეგმება სხვა, როგორც თბილისის, ისე რეგიონების უნივერსიტეტებშიც, როგორც ვიცი.

გთხოვ, გაუზიარო „იმედი +“-ს მკითხველს ინფორმაცია თსუ-ში, საქართველოში, შენი სწავლის შესახებ რა პრობლემებსა და სიძნელებებს აწყდებოდი, როგორც უსინათლო სტუდენტი? როგორ აბარებდი გამოცდებს, როგორ ამზადებდი საშინაო დავალებებს? როგორ გადაადგილდებოდი უნივერსიტეტის შიგნით? იყო თუ არა ადმინისტრაციის მხრიდან რამე შემოთავაზებები ან შეკითხვები შენთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით?



ბაბრქელაბა →

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან არ ყოფილა არავითარი მცდელობა და შემოთავაზებები ჩემთვის დანარჩენ სტუდენტებთან თანაბარი სწავლებისთვის საჭირო ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად. რადგან ლექტორი მაშინ არ მქონდა, უნივერსიტეტში სწავლისას არც კომპიუტერი გამომიყენებია და არც— დიქტოფონზე ჩამინერია რამე. ჩვეულებრივ ვისმენდი ლექციებს, ბრაილით ვინერდი კონსპექტს, სასემინაროდ, საგამოცდოდ და ა.შ. ნასაკითხ მასალას კი ხან ოჯახის წევრები მიკითხავდნენ, ხან მე თვითონ ვთხოვდი ხოლმე ჯგუფელებს, ერთად გვემეცადინა და ჩემთვის წაეკითხათ. გამოცდებს კი ან ზეპირად ვაბარებდი, ან ბრაილით ვწერდი და შემდეგ ვუკითხავდი ლექტორებს. თუკი შემოსახაზი, სავარაუდო პასუხიანი ტესტი იყო, ჯგუფელები მეხმარებოდნენ: წამიკითხავდნენ ტესტს, შემოხაზავდნენ საკუთარ პასუხების ფურცელზე მათ მიერ შერჩეულ პასუხს, შემდეგ კი ჩემს პასუხების ფურცელზე მონიშნავდნენ ჩემთვის სასურველ პასუხს. რა თქმა უნდა, ამას მეტი დრო მიჰქონდა, ჯგუფელს ხომ თავისი პასუხიც უნდა მოენიშნა და ჩემიც, ამიტომ ჩვენ საგამოცდო დროის ოდნავ გადაცილებას გვპატიობდნენ. ადმინისტრაციას კი არანაირი კითხვა ან სურვილი არ გასჩენია ჩემთვის გარემოს ადაპტაციის თვალსაზრისით, თუმცა არც უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავთ. ერთადერთი ჩემი დეპარტამენტის მდივანი მთხოვდა, დამეწერა ოფიციალური განცხადება გამოცდების ზეპირად ჩაბარების თხოვნის შესახებ (მაშინ ფაკულტეტზე ყველა გამოცდა წერილობით ბარდებოდა) რაც მე არ გამიკეთებია, თუმცა მაინც ზეპირად ვაბარებდი ხოლმე. ლექტორებისთვის ვიყავი პირველი უსინათლო სტუდენტი. ძალიან იშვიათად, ზოგიერთ ლექტორს ჰქონდა სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსია, რომლის მოსმენაც კომპიუტერით შემეძლო გამხმოვანებელი პროგრამის მეშვეობით. თუმცა მთლიანობაში იმ დროს მასალის ინტერნეტში ან სხვა ელექტრონულ საშუალებაში მოპოვება შეუძლებელი იყო, დასკანირებულიც კი არ იყო ხოლმე. თუმცა ქართულენოვანი დასკანირებული ან დასურათებული მასალა მაინც არ ისმინება გამხმოვანებელი პროგრამით, მხოლოდ უცხოენოვანი დასკანირებული ლიტერატურის მოსმენაა შესაძლებელი. რაც შეეხება გადაადგილებას, რადგან სხვადასხვა კორპუსში მქონდა ლექცია—სემინარები, ძირითადად ჯგუფელებთან ერთად გადავდიოდი კორპუსიდან კორპუსში, თუმცა მე-3 კორპუსში, რომელიც სასიარულოდ უფრო მოსახერხებელია და თან იქ ლექციები სხვა სტუდენტებთან ერთად მიტარდებოდა და არა— ჩემს ჯგუფელებთან, მე-3 კორპუსის შიგნით გადავადგილდებოდი ხოლმე დამოუკიდებლად.

არსებობდა თუ არა იმ დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა უფლებების დასაცავად რამე იურიდიული მექანიზმები?

ფაქტობრივად არანაირი. მაშინ არც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია იყო რატიფიცირებული საქართველოს მიერ, რაც 2013 წელს გაკეთდა. არსებობდა მხოლოდ

ზოგადი განათლების შესახებ კანონის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება, თუმცა ეს იმდენად ზოგადი ჩანაწერია, რომ რეალურად არაფრისგან არ გიცავს. მართალია, ეროვნული გამოცდების ჩემი შედეგებით გრანტიც მქონდა და უნივერსიტეტშიც კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მაშინდელი ადმინისტრაციის დამოკიდებულება ის იყო, რომ მთავარია, ჩავირიცხებ და დანარჩენი ჩემზეა.

შენს კარიერულ ცხოვრებაში თუ აწყდებოდი უსინათლობასთან დაკავშირებულ რამე სირთულეებს?

